2023 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი

2025 წელი

საქართველოს
სახალხო დამცველი

UN WOMEN

2023 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი

2025 წელი

საქართველოს
სახალხო დამცველი

UN WOMEN

წინამდებარე პუბლიკაცია მოამზადა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და ის, შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.

სარჩევი

 შესავალი 5

1. კვლევის მეთოდოლოგია 6

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა 8

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები 15

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები 16

4.1. გენდერული მოტივის დადგენა 16

4.2. საპროცესო შეთანხმებების გაფორმება 20

4.3. ფემიციდით დაზარალებული ბავშვები 22

4.4. გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი სხვა ხარვეზები 23

4.5. ძალადობის წინარე ისტორია 25

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას 28

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება 28

5.2. სასამართლოს მიერ 53[1] მუხლის გამოყენება და სასჯელის დასაბუთება 31

5.3. სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება 33

6. გამამართლებელი განაჩენები - დაზარალებულის სათანადო მხარდაჭერის მნიშვნელობა 36

დასკვნა 40

რეკომენდაციები 41

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა 43

შესავალი

ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების - ფემიციდის პრევენცია და ამგვარ საქმეებზე მართლმსაჯულების და სამართალდაცვითი ფუნქციების ეფექტიანი აღსრულება კვლავ გამოწვევად რჩება.

საქართველოში 2024 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ქვეყანაში ქალთა მიმართ არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებსა და დამოკიდებულებებზე მეტყველებს,[1] პრობლემურია ძალადობასთან დაკავშირებული აღქმები და ნორმებიც, რომელთა მიხედვითაც საზოგადოების ნაწილში ქალ პარტნიორებზე ნებისმიერი სახის ძალადობა ნორმალიზებულია, ასევე, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქალმა უნდა მოითმინოს ძალადობა ოჯახის შესანარჩუნებლად.[2]

ფემიციდს საფუძვლად სწორედ საზოგადოებაში ქალის როლის შესახებ დისკრიმინაციული და სტერეოტიპული შეხედულებები უდევს. ამ ფონზე ფემიციდის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფოკუსირება საზოგადოებაში დისკრიმინაციული სოციალური ნორმების შეცვლაზე. წლების განმავლობაში მიმდინარე დაკვირვებების თანახმად, ფემიციდის დანაშაული დაკავშირებულია განათლების და დასაქმების პრობლემასთანაც, რაც ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

CEDAW კომიტეტი საქართველოსთან მიმართებით 2023 წლის დასკვნით დაკვირვებებში რეკომენდაციის სახით მიუთითებს, რომ სახელმწიფომ პრიორიტეტულად უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, განსაკუთრებით, **ფემიციდის პრევენციისთვის**, მათ შორის, დამნაშავეთათვის სავალდებულო ქცევის შეცვლის ტრეინინგ პროგრამების უზრუნველყოფით და მოსამართლეთა და სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებისთვის რისკის შეფასების შესაძლებლობების გაძლიერებით.[3]

საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის რეკომენდაციის შესაბამისად, 2016 წლიდან სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე აანალიზებს ქალთა გენდერული ნიშნით მოტივირებული მკვლელობების, მკვლელობის მცდელობების, ჯანმრთელობის დაზიანებებისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეებს.

წინამდებარე ანგარიშში სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს მომხდარი 22 ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემთხვევა გააანალიზა, რამაც შესაძლებელი გახადა მართლმსაჯულების განხორციელებისას არსებული გამოწვევების გამოვლენა.

გაანალიზებული საქმეებიდან კვლავ პრობლემად იკვეთება გენდერული ნიშნის დადგენა, როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო წელს, გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესება არ შეინიშნება. ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, პრობლემად იკვეთება საპროცესო შეთანხმების გაფორმება და წინარე ძალადობის შემთხვევებზე სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება.

---

1 გენდერული თანასწორობის მიმართ დამოკიდებულების კვლევა საქართველოში, 2024 წ., გვ. 58, ანგარიში მისაწვდომია ბმულზე: https://shorturl.at/loHTn [ბოლოს ნანახია: 08.04.2025].

2 „სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ (ISSA) კვლევა: „IMAGES: კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება“, 2024 წ, გვ. 32-33. მისაწვდომია: https://shorturl.at/zplww ; [ბოლოს ნანახია: 08.04.2025].

3 CEDAW, Concluding observations on the sixth periodic report of Georgia, CEDAW/C/GEO/CO/6, 2023, § 26 (c).

ტენდენციად იკვეთება, რომ ქალები მათ მიმართ არსებული წინარე ძალადობის შესახებ სამართლდამცავ უწყებებს, უმეტესად, არ ატყობინებენ. გამამართლებელი განაჩენების ანალიზი კი აჩვენებს, რომ დაზარალებული ქალები კვლავ უარს ამბობენ ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე, რაც, ქალების ნდობის მოსაპოვებლად და მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად არსებითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე მიუთითებს.

ვიმედოვნებთ, რომ ფემიციდის წინააღმდეგ სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გაითვალისწინებენ ანგარიშში წარმოდგენილ მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

1. კვლევის მეთოდოლოგია

გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) მონიტორინგის ანგარიში მომზადდა სახალხო დამცველის აპარატში შემუშავებული მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით.[4]

კვლევის მიზნებისათვის, საქართველოში არსებული კონტექსტიდან გამომდინარე და ლათინოამერიკულ სახელმძღვანელო ოქმზე[5] დაყრდნობით, სახალხო დამცველი იყენებს ფემიციდის შემდეგ განმარტებას:

ფემიციდი არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასთან ან ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით, ან მის გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით.

ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ჩადენილია ფემიციდი. გენდერთან დაკავშირებული ქალთა მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმის მიხედვით, ფემიციდია, როდესაც მკვლელობა ან ქალის გარდაცვალება უკავშირდება ქალის გენდერს, კერძოდ, უნდა არსებობდეს გარკვეული ნიშნები, რომ მკვლელობის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან ან/და დისკრიმინაციასთან.[6]

ფემიციდის 2023 წლის საქმეთა მონიტორინგის ჩატარების მიზნით, კვლევა სამ ეტაპად განხორციელდა. კვლევის **პირველი ეტაპი** გულისხმობდა ქალის მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის და თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვას საქართველოს შინაგან საქმეთა

4 ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: „ქალთა გენდერული მკვლელობები“, 2016 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქართველოს სახალხო დამცველი, 2017.

5 Latin American Model Protocol for the Investigation of Genderrelated Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“, შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი) მისაწვდომია ბმულზე: https://oig.cepal.org/sites/default/files/2014_latinamericanprotocolforinvestigationoffemicide_en.pdf

6 Latin American Model Protocol for the Investigation of Genderrelated Killings of Women (femicide/feminicide) („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი“, შემდგომში: ლათინოამერიკული სახელმძღვანელო ოქმი), ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 9789962555902, გვ. 1314.

სამინისტროდან და გენერალური პროკურატურიდან, ხოლო განაჩენების გამოთხოვას - საერთო სასამართლოებიდან.[7] საანგარიშო პერიოდში საქმეების მაქსიმალურად დაფარვის მიზნით, საერთო სასამართლოებიდან ინფორმაცია გამოვითხოვეთ 2024 წლის ოქტომბრის დასაწყისში. შედეგად, სახალხო დამცველის აპარატს მოეწოდა 2024 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენები.[8]

კვლევის **მეორე ეტაპზე**, ფემიციდის ან ფემიციდის მცდელობების გამოსავლენად, გაანალიზდა საქალაქო/რაიონული და სააპელაციო სასამართლოებიდან მიღებული განაჩენები/განჩინებები.

კვლევის **მესამე ეტაპზე** საქალაქო/რაიონული, სააპელაციო და უზენაესი ინსტანციის სასამართლოდან გამოვითხოვეთ საქმის სრული მასალები მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეულ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა განაჩენებზე.

შედეგად, სახალხო დამცველის აპარატს, 2023 წელს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, მოეწოდა 32 საქმის განაჩენი. ამ საქმეებიდან სახალხო დამცველის აპარატი სისხლის სამართლის საქმის სრულ მასალებს გაეცნო 26 საქმეზე.

ასევე, სახალხო დამცველის აპარატს საერთო სასამართლოებიდან მოეწოდა 10 განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.[9] ასევე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გამოძიების და დევნის შეწყვეტის შესახებ 5 დადგენილება,[10] რომელიც ასევე გაანალიზდა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის გამოსავლენად.

---

7 ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებთან დაკავშირებით, რომლითაც შესაძლებელი იყო ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეების დაკვალიფიცირება, კერძოდ: განზრახ მკვლელობა (სსკ-ის მუხლი 108), განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში (სსკ-ის მუხლი 109), განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკის მუხლი 111), 116-ე მუხლი (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (სსკ-ის მუხლი 117), თვითმკვლელობამდე მიყვანა (სსკ-ის მუხლი 115), სსკის 19, 108-ე და 19,109-ე მუხლი (დანაშაულის მცდელობა). ასევე, 118.3 მუხლი, კერძოდ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ასევე, სსკის 121-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და სსკ-ის 122-ე (ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით) მუხლებით დაკვალიფიცირებული საქმეები. ასევე, ქალის გაუპატიურება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 137.4.ბ), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 138.3.გ), უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის მუხლი 133.3), სტერილიზაცია თანხმობის გარეშე, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133^1 .3), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (სსკ-ის მუხლი 133^2 .3), ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკის მუხლი 143^1 .4.ბ), წამება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკის მუხლი 144^1 .3.გ).

8 სახალხო დამცველის აპარატი აანალიზებს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებს, რომლებზეც გამოტანილია განაჩენი. ოქტომბრის თვის დასაწყისის მდგომარეობით, უზენაეს სასამართლოს აღრიცხული ჰქონდა 31 აგვისტოს ჩათვლით გამოტანილი განაჩენები, შესაბამისად, აღნიშნული განაჩენები მოეწოდა სახალხო დამცველის აპარატს.

9 მოწოდებული 10 განჩინებიდან, დევნის შეწყვეტის მიზეზი ყველა შემთხვევაში იყო ბრალდებულის შეურაცხადობა. სახალხო დამცველი სიფრთხილით ეკიდება იმ შემთხვევების ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად დაკვალიფიცირებას, რომლებიც პირებმა ჩაიდინეს შეურაცხადობის მდგომარეობაში. შესაბამისად, ასეთი საქმეები ფემიციდის/ფემიციდის სტატისტიკაში არ აღგვირიცხავს და არც ანგარიშში განგვიხილავს. ამ საქმეებიდან, დანაშაულის ფაქტამდე მხოლოდ 1 საქმეში (ქმრის მიერ ცოლის მკვლელობა) იკვეთებოდა პოლიციისთვის მიმართვა. შსს-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დაფიქსირებულ მიმართვებთან (2 მიმართვა) დაკავშირებით, პოლიციის თანამშრომლები გაესაუბრნენ რელევანტურ პირებს, რომლებიც ფიგურირებდნენ მიმართვებში და ფლობდნენ ინფორმაციას საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. გასაუბრებების შედეგად, რაიმე სახის დანაშაულის ნიშნები არ დადასტურებულა, შესაბამისად, გამოძიება არ დაწყებულა.

10 მოწოდებული 5 დადგენილებიდან 3 შემთხვევაში დევნა შეწყდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' ქვეპუნქტის საფუძველზე - ბრალდებულის გარდაცვალების გამო, ხოლო 2 შემთხვევაში იმავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე - პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმე №088080123001 მიღებულ დადგენილებაში, არ გვხვდება მსჯელობა დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით. შესაბამისად, გამოძიებას არ გაუცია პასუხი კითხვაზე, თუ რა მოტივით განხორციელდა მკვლელობა ამ საქმეზე, როდესაც ოჯახის წევრმა კაცმა ჯერ მეუღლე მოკლა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა.

საერთო ჯამში, კვლევისთვის რელევანტურად შეირჩა 22 საქმე. ანგარიშში არ არის ასახული ის საქმეები, რომლებშიც მეთოდოლოგიის მიხედვით, ფემიციდის ნიშნები არ გამოიკვეთა.[11]

დამატებით, ხარვეზების გამოვლენის მიზნით, ანგარიშში ასევე განვიხილავთ შესაძლო ფემიციდის მცდელობის იმ საქმეებსაც, სადაც გამამართლებელი განაჩენი დადგა.[12]

2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის სტატისტიკა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 22 საქმე გააანალიზა. გაანალიზებული 22 საქმიდან 11 საქმე ეხებოდა ფემიციდს, ხოლო 11 საქმე - ფემიციდის მცდელობას.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ტენდენცია უცვლელია - ფემიციდსა და ფემიციდის მცდელობას ყველაზე ხშირად ქმრები/ყოფილი ქმრები ჩადიან. საანგარიშო წელს ამ დანაშაულების ჩადენის მოტივად სასამართლოები გენდერულ ნიშანს უთითებდნენ, თუმცა საქმეთა დიდ ნაწილში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის მოტივი უცნობი დარჩა.

---

11 მაგალითად, ფემიციდის/ფემიციდის მცდელობად არ იქნა მიჩნეული ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე (№1/223-23), სადაც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ქალმა ქალი მოკლა; კიდევ ერთი საქმე, რომელიც არ შეგვიტანია ანგარიშში, წარსულში სამეზობლო დავასთან დაკავშირებული კონფლიქტის შედეგად ქალის მკვლელობას ეხებოდა (თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/197-23); ფემიციდის მცდელობად არ იქნა მიჩნეული ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე (№1-748/23), სადაც შვილმა დედის განზრახ მკვლელობა სცადა აფექტის მდგომარეობაში. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბრალდებულის აფექტური მდგომარეობა განპირობებული იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაგროვილი სტრესით, რამაც საბოლოოდ, ამგვარ ქმედებაში ნახა გამოვლინება. ექსპერტის განმარტებით, ოჯახში ხშირი იყო კონფლიქტი, ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობის, ლანძღვის შემთხვევები, მშობლები და, განსაკუთრებით, დედა (ბრალდებულის განმარტებით) ჩართული იყო აზარტულ თამაშებში, პატარა ძმებზე ზრუნვა და მოვლა-პატრონობა 22 წლის ბიჭს თავის თავზე ჰქონდა აღებული, პარალელურად სწავლობდა, მუშაობდა და თან ითმენდა ოჯახში არსებულ უწესრიგობას, აყალმაყალს, საყვედურებს და შეურაცხყოფას. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში ბრალდებულის მიმართ შემაკავებელი ორდერი იყო გამოცემული დედის მიმართ ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, თუმცა საქმის მასალები არ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას ძალადობის კონტექსტის შესახებ. ფემიციდად ასევე არ იქნა მიჩნეული რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე (№1/101-24), სადაც ბრალდებულმა მეზობელი ქალი იმის გამო მოკლა, რომ იგი აპირებდა ბრალდებულსა და თავის რძალს შორის არსებული სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას ბრალდებულის ოჯახის წევრებისთვის. ამ საქმეში, მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, არ გამოიკვეთა გენდერული ნიშანი. ანგარიშში ვერ მოხვდა საქმეები, სადაც მსხვერპლი ქალისთვის მიყენებული ზიანი დაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებად ან მძიმე დაზიანებად, რომელიც არ იყო სიცოცხლისთვის სახიფათო: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში ბრალდებული ქურდობის მიზნით შევიდა მეზობლის სახლში და ორივე მეუღლეს რამდენჯერმე ჩაარტყა ჩაქუჩი. ბრალდებულის ქმედების შედეგად, ქალმა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიიღო (საქმე №1/942-23); თბილისის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში (№1/6819-/23) ბრალდებულმა კონფლიქტის დროს ქალს ჩუსტი ესროლა, რის შედეგადაც მას თვალი დაუზიანდა. შედეგად, ქალს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიადგა, თუმცა ვინაიდან დაზიანება არ იყო სიცოცხლისთვის სახიფათო, ეს საქმე სტატისტიკაში არ მოხვდა. იმავე საფუძვლით ანგარიშში არ შეგვიტანია გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე (№1/100-23), სადაც ბრალდებულმა მეუღლეს მრავალჯერადი დარტყმით მარჯვენა წვივის მოტეხილობა მიაყენა. ანგარიშში ასევე არ მოხვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე (№1/1800-23), სადაც ბრალდებულმა მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მიაყენა.

12 საქმეები, რომლებზეც გამამართლებელი განაჩენი დადგა, ფემიციდის/ფემიციდის სტატისტიკაში არ აღირიცხა. ამ საქმეებში გამოვლენილ ხარვეზებს ცალკე თავში განვიხილავთ.

დიაგრამა 1:

ფემიციდის ჩამდენი პირები



დიაგრამა 2:

ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები



დიაგრამა 3:

ფემიციდის ჩადენის მოტივი[13]



დიაგრამა 4:

ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივი



ფემიციდის თავისებურებიდან გამომდინარე, ფემიციდისა და მისი მცდელობის შემთხვევები უმეტესად საცხოვრებელ გარემოში, კერძოდ, სახლში ხდება.

13 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის მოტივის სტატისტიკა დათვლილია სასამართლოს მიერ განაჩენებში გამოკვეთილი მოტივების მიხედვით, შესაბამისად, №3 და №4 დიაგრამებში მითითებული მოტივის სტატისტიკა არ მოიცავს 3 საქმეს, სადაც საქმის განხილვა ბრალდებულის გარდაცვალების გამო შეწყდა, ამ 3 საქმიდან 2 შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის მოტივად მითითებული იყო გენდერის ნიშანი, ხოლო 1 საქმეში მოტივი გამოკვეთილი არ ყოფილა.

დიაგრამა 5:

ფემიციდის ჩადენის ადგილი



დიაგრამა 6:

ფემიციდის მცდელობის ჩადენის ადგილი[14]



საანგარიშო პერიოდში **ფემიციდის ჩადენის იარაღი** 1 შემთხვევაში დანა იყო, 3 შემთხვევაში - ცეცხლსასროლი იარაღი, 1 შემთხვევაში - სანადირო თოფი, 1 შემთხვევაში - ბლაგვი საგანი, 1 შემთხვევაში - ხის მორი, 1 შემთხვევაში - ხელებით დახრჩობა, 1 შემთხვევაში

14 დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, ფემიციდის ჩადენის იარაღისა და ფემიციდის ჩადენის ადგილის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში არ ფიგურირებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე (№1/1157-23), რომელიც განზრახ მკვლელობის მომზადებას ეხებოდა.

- ქვა, 1 შემთხვევაში - თასმით დახრჩობა, 1 შემთხვევაში - სიმაღლიდან ვარდნა. რაც შეეხება **ფემიციდის მცდელობის ჩადენის იარაღს**, 3 შემთხვევაში - დანა, 2 შემთხვევაში - ფიზზიკური ანგარიშსწორება, 1 შემთხვევაში - მედიკამენტი, 1 შემთხვევაში - ბასრი საგანი, 1 შემთხვევაში - სხვადასხვა საგანი: ხის სკამი, ბლაგვი საგანი, 1 შემთხვევაში - ბენზინი, 1 შემთხვევაში - მანქანით დაჯახება.

საანგარიშო პერიოდში ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის 22[15] შემთხვევიდან 10 შემთხვევაში მოძალადეები ფხიზელ მდგომარეობაში იყვნენ.[16] სტატისტიკური ანალიზის თანახმად, ტენდენცია უცვლელია - ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირები უმრავლეს შემთხვევაში საშუალო განათლების მქონე და უმუშევარი ან დაბალი შემოსავლის მქონე პირები არიან.[17] ეს მონაცემი მიუთითებს სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების (შესაძლო) გავლენაზე ძალადობრივი ქცევის ფორმირებაზე, რაც წარმოაჩენს ინტერსექტორული მიდგომის აუცილებლობას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირების ნასამართლობის სტატისტიკა[18] შემდეგნაირად გამოიყურება:

დიაგრამა 7:
ფემიციდის ჩამდენი პირების ნასამართლეობა



დიაგრამა 8:
ფემიციდის მცდელობის ჩამდენი პირების ნასამართლეობა



15 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის სტატისტიკაში აღრიცხულია ის შემთხვევებიც, სადაც დანაშაული გენდერული ნიშნით განხორციელდა, თუმცა საქმის განხილვა ბრალდებულის გარდაცვალების გამო შეწყდა. ამ საქმეებში, პროკურატურის დადგენილებებში არ არის მითითებული ინფორმაცია ბრალდებულის განათლების, დასაქმების, ნასამართლობისა და სიფხიზლის შესახებ. ამდენად, მოცემულ თავში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს ამ 3 შეწყვეტილ საქმესთან დაკავშირებულ მონაცემებს.

16 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის ჩადენის დროს, 10 შემთხვევაში პირი ფხიზელ მდგომარეობაში იყო, 9 შემთხვევაში მოძალადე არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა (სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს 3 შეწყვეტილ საქმესთან დაკავშირებულ მონაცემებს).

17 **განათლება:** ფემიციდის ჩამდენი პირებიდან საშუალო განათლება 8 პირს ჰქონდა მიღებული, არასრული საშუალო - 1 პირს. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, საშუალო განათლება ჰქონდა 7 პირს, არასრული საშუალო - 2 პირს, ხოლო უმაღლესი განათლება - 1 პირს. **დასაქმება:** ფემიციდის ჩამდენი პირებიდან უმუშევარი იყო 7 პირი, 1 - დამხმარე მუშა, ხოლო 1 - თვითდასაქმებული. რაც შეეხება ფემიციდის მცდელობის ჩამდენ პირებს, 9 პირი იყო უმუშევარი, 1 - თვითდასაქმებული (სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს 3 შეწყვეტილ საქმესთან დაკავშირებულ მონაცემებს).

18 ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის სტატისტიკაში აღრიცხულია ის შემთხვევებიც, სადაც დანაშაული გენდერული ნიშნით განხორციელდა, თუმცა საქმის განხილვა ბრალდებულის გარდაცვალების გამო შეწყდა. ამ საქმეებში, პროკურატურის დადგენილებებში არ არის მითითებული ინფორმაცია ნასამართლობის შესახებ. ამდენად, №7 და №8 დიაგრამაში მოცემული მონაცემები არ მოიცავს ამ 3 შეწყვეტილ საქმესთან დაკავშირებულ მონაცემებს.

ფემიციდის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია:	საქმეების რაოდენობა
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის ,,თ'', ,,კ'' და ,,მ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	1
სსკ-ის 109-ე მუხლის ,,ნ'' ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა ანგარებით)	1
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის ,,თ'' და ,,კ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ)	1
სსკ-ს 115 მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტი (თვითმკვლელობამდე მიყვანა, გენდერის ნიშნით)	1
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის ,,ბ'', ,,თ'', ,,კ'' და ,,ლ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას)	1
სსკ-ს 109-ე მუხლის ,,თ'' და ,,მ'', ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, განსაკუთრებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით)	1
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის ,,ე'', „თ“ და „კ“, ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით, დამნაშავისთვის წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ)	1
სსკ-ს 11^1 109 მუხლის ,,ე'' და ,,კ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, ოჯახის წევრის მიმართ, დამნაშავისთვის წინასწარ შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ)	1
სსკ-ის 11^1 109-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლელობა, ოჯახის წევრის მიმართ)	2
სსკ-ს 11^1 109-ე მუხლის ,,თ'', ,,კ'', ,,ლ'' და ,,მ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობა, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	1

ფემიციდის მცდელობის საქმეები:

საქმის კვალიფიკაცია:	საქმეების რაოდენობა
სსკ-ის 11^1 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, გენდერის ნიშნით)	1
სსკ-ის 11^1 115-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა)	1
სსკ-ის 11^1 19 109 მუხლის ,,კ“, ,,მ“ და ,,თ“ ქვეპუნქ-ტებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	1
სსკ-ის 11^1 19 109-ე მუხლის ,,თ'', ,,კ'' და ,,მ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობის მცდელობა, ჩადენილი განსაკუთ-რებული სისასტიკით, გენდერის ნიშნით და ოჯახის წევრის მიმართ)	1
სსკ-ის 11^1 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ)	1
სსკ-ის 19 109-ე მუხლის ,,კ'' და ,,ნ'' ქვეპუნქტი - განზრახ მკვლელობის მცდელობა, ოჯახის წევრის მიმართ, ანგა-რებით ან შეკვეთით	1
სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის)	2
სსკ-ის 11^1 19 109 ,,კ'' და ,,მ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლე-ლობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში, გენდერის ნიშნით, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, განსაკუთრებული სისასტიკით)	1
სსკ-ის 19 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი (განზრახ მკვლე-ლობა, ორი პირის მიმართ)	1
სსკ-ის 11^1 19 109-ე მუხლის ,,თ'' და ,,კ'' ქვეპუნქტები (განზრახ მკვლელობის მცდელობა, გენდერის ნიშნით და ოჯახის წევრის მიმართ)	1

3. ფემიციდის გამოვლენილი კატეგორიები და ტიპები

ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეების მონიტორინგისას ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის რამდენიმე კატეგორია და ტიპი გამოვლინდა.[19]

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის 11 შემთხვევიდან 10 შემთხვევა ინტიმურ ფემიციდს უკავშირდებოდა. მათგან 4 ამასთანავე იყო ოჯახური ფემიციდის შემთხვევა, ხოლო 1 საქმეში ადგილი ჰქონდა მხოლოდ ოჯახურ ფემიციდს.

საანგარიშო პერიოდში ფემიციდის მცდელობის შესწავლილი 11 საქმიდან 5 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ინტიმურ ფემიციდს, საიდანაც 4 შემთხვევა, ამავე დროს, ოჯახური ფემიციდი იყო, ხოლო 4 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ოჯახურ ფემიციდს, 2 შემთხვევაში კი - არაინტიმურ ფემიციდს.

საანგარიშო პერიოდში ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მიზეზი გახდა მისი ცხოვრების წესი, რომელიც, ქმრის შეფასებით, არ შეესაბამებოდა კულტურულ, ტრადიციულ ნორმებს და ხელყოფდა მისი და მისი ოჯახის ღირსებას.[20]

ბრალდებულმა ყოფილი მეუღლის მკვლელობა სცადა, ხოლო მისი ახალი მეუღლე მოკლა, რადგან მიიჩნევდა, რომ ქალს არ ჰქონდა პირადი ცხოვრების განკარგვისა და სხვა მამაკაცზე ქორწინების უფლება.[21] კაცმა მასთან იძულებით ქორწინებაში მყოფი არასრულწლოვანი გოგო მოკლა, რადგან გაბედა და იძულებითი ქორწინებისგან თავის დაღწევის მიზნით გაქცევა სცადა. ბრალდებული მიიჩნევდა, რომ ქალს არ ჰქონდა მასთან ქორწინებაზე უარის თქმის უფლება.[22] კიდევ ერთ საქმეში, ბრალდებულმა, თავისი, როგორც მამაკაცის უპირატესი როლის დამტკიცების მცდელობისას, მეუღლე არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა.[23] მაზლმა ბენზინით რძლის დაწვა სცადა იმის გამო, რომ სიტყვიერი კონფლიქტის დროს ქალმა შეურაცხყოფის შეწყვეტისკენ მოუწოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პოლიციისთვის მიმართვით დაემუქრა.[24] ბრალდებულმა ქალი მკვრივი ბლაგვი საგნის გამოყენებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იმიტომ მოკლა, რომ მას ,,მსუბუქი ყოფაქცევის ქალად'' და ,,გვარის შემარცხვენლად'' მიიჩნევდა.[25] ფემიციდის მცდელობას ადგილი ჰქონდა იმის გამო, რომ ბრალდებულის მოსაზრებით, ქალი უნდა დამორჩილებოდა მას, ასევე, ქალს არ ჰქონდა მუშაობის უფლება.[26]

ერთ საქმეში არასრულწლოვანი თვითმკვლელობამდე მივიდა ბრალდებულის მხრიდან სისტემატური შეურაცხყოფისა და ღირსების შელახვის გამო, კერძოდ, იმის გამო, რომ გოგოს

---

19 საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, გამოყოფენ ფემიციდის რამდენიმე ტიპს, მათ შორის აღსანიშნავია: **ინტიმური ფემიციდი:** ქალის მკვლელობა მამაკაცის მიერ, რომელთანაც ქალს ჰქონდა ინტიმური (ემოციური ან/და სექსუალური) ურთიერთობა. დანაშაულის ჩამდენია მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სექსუალური პარტნიორი, ყოფილი სექსუალური პარტნიორი, შეყვარებული, ყოფილი შეყვარებული, ან მამაკაცი, რომელთანაც ქალს ჰყავს შვილი. **ოჯახური ფემიციდი**: ოჯახის წევრის ან ნათესავი ქალის მკვლელობა (რაც შეიძლება ამასთანავე იყოს ან არ იყოს ინტიმური ფემიციდი). **არაინტიმური ფემიციდი** - ქალის მკვლელობა მისთვის უცნობი მამაკაცის მიერ, რომელთანაც ქალს არ ჰქონია ურთიერთობა („ქალთა გენდერთან დაკავშირებული მკვლელობების გამოძიების ლათინური ამერიკის სახელმძღვანელო ოქმი'', ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი ლათინურ ამერიკაში, ISBN 978-9962-5559-0-2, გვ. 15-16).

20 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4792-23.

21 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-2.

22 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/452-23.

23 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

24 ახალქალაქის რაიონული სასამართლოს საქმე №1/23-23.

25 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4809-23.

26 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7452-23.

სქესობრივი კავშირი ჰქონდა მასთან, ბრალდებული აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, უწოდებდა მსუბუქი ყოფაქცევის გოგოს, დასცინოდა, რომ ნებისმიერ დროს შეეძლო მასთან სხვადასხვა ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარება.[27] ქალმა თვითმკვლელობა სცადა ქმრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფისა და მუქარის გამო, რაც თან ახლდა შერიგებასა და შემდგომ თანაცხოვრებაზე მის უარს.[28] კიდევ ერთ საქმეში მამამ გოგო შვილი თვითმკვლელობის მცდელობამდე მიიყვანა, გენდერული შეხედულებების გამო სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის შედეგად.[29]

4. გამოძიების ეტაპზე არსებული ხარვეზები

4.1. გენდერული მოტივის დადგენა

გაანალიზებული სისხლის სამართლის საქმეების მნიშვნელოვან ნაწილში კვლავ პრობლემად გამოვლინდა გენდერული მოტივის გამოკვეთა. კერძოდ, ბრალდების შესახებ 22 დადგენილებიდან მხოლოდ 11 შემთხვევაში იყო მითითებული გენდერული მოტივის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოძიებას გენდერის ნიშნის გამოკვეთა გაუჭირდა იმ საქმეებშიც, სადაც საქმის მასალებზე დაყრდნობით, მათ შორის, ძალადობის წინარე ისტორიაც იკვეთებოდა. ამასთანავე, პრობლემური იყო, ეკონომიკური ძალადობის კონტექსტში ჩადენილი ქალთა მკვლელობების გენდერული ხედვით შესწავლა. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ძალადობა ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა. ეკონომიკური ძალადობა გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ქალის ან მისი შვილ(ებ)ის ეკონომიკური რესურსების გამოყენებაზე, ფლობასა და ხელმისაწვდომობაზე, ზღუდავს მის ეკონომიკურ ავტონომიას და ზრდის მის დამოკიდებულებას კაცზე. ეკონომიკური ძალადობა, როგორც კონტროლის ფორმა, ვლინდება სხვადასხვა გზით, მათ შორის, ქალის შემოსავლის მანიპულირებისა და შეზღუდვის მეშვეობით, მის ეკონომიკურ რესურსებზე ზეწოლის გზით – მათი გამოყენება ან ინვესტირება კაცის ინტერესების სასარგებლოდ, ასევე მუქარით, რომ მას მოაკლებენ აუცილებელ ეკონომიკურ რესურსებს, როგორიცაა საკვები და ტანსაცმელი.[30]

თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[31] გამოძიებამ ანგარების მოტივთან ერთად, სათანადოდ არ გამოიკვლია გენდერული მოტივის არსებობა. მოცემულ საქმეში წარსულში განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევმა გ.ხ.-მ, მატერიალური გამორჩენის მიღების მიზნით, მოკლა ქალი, რომელთანაც წლების განმავლობაში ინტიმური

27 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-1033/23.

28 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

29 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23.

30 ქალზე ეკონომიკური ძალადობის განმარტება მოცემულია გუატემალას კანონში (Decree No. 22-2008), ელ სალვადორის კანონში (Decree No. 520 of 2010), ნიკარაგუას კანონში (Law 779 of 2012) და ავტორების - Russell და Radford-ის ერთობლივ ნაშრომში - Russell D. E. & Radford, J. (2006) offer a joint definition of economic violence and patrimonial violence.

31 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/292-23.

ურთიერთობა აკავშირებდა. მიუხედავად ამისა, განსახილველ შემთხვევაში გამოძიებას დანაშაული ყოფილი პარტნიორის მხრიდან სავარაუდო ეკონომიკური ძალადობის კონტექსტში არ განუხილავს და არც ღონისძიებები გაუტარებია გენდერული ნიშნის დასადგენად.

გენდერული პერსპექტივით არ ყოფილა შესწავლილი და ეკონომიკური ძალადობის კონტექსტში ასევე არ შეფასებულა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე,[32] სადაც შვილიშვილმა ბებიის მკვლელობა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით შეუკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალებიდან იკვეთებოდა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს წარსულშიც ჰქონდათ უთანხმოებები ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით. ბრალდებული სისტემატურად ითხოვდა ფულად დახმარებას, ხოლო ერთ კონკრეტულ შემთხვევაში მან ბებიას სოლიდური თანხა გამოართვა და აღარ დაუბრუნა, რის შემდეგაც დაზარალებულმა შეწყვიტა მისი ფინანსური დახმარება. შედეგად, ბრალდებულმა განიზრახა დანაშაულის ჩადენა, რათა კვლავ მოეპოვებინა ფინანსური სარგებელი.

ეკონომიკური ძალადობის საკითხი შეფასების მიღმა დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეშიც,[33] სადაც ბრალდებულის ჩვენების თანახმად, დედის მკვლელობას წინ უძღოდა მისი უარი, საკუთარი პენსია შვილისთვის დაეთმო, რის გამოც ის გაბრაზდა და შეშის ნატეხის მრავალჯერადი გამოყენებით დედას სიცოცხლე მოუსპო. ამავე საქმეში იკვეთებოდა ძალადობის წინარე ისტორიაც, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის გენდერული მოტივის დასადგენად. მოწმეთა ჩვენებების თანახმად, ბრალდებულსა და გარდაცვლილს შორის ხშირი იყო კონფლიქტები, რადგან გარდაცვლილი ბრალდებულს საყვედურობდა ალკოჰოლური სასმელის ხშირად მოხმარების გამო. ამასთანავე, მოწმეთა განცხადებით, მკვლელობამდე დაახლოებით 1 თვით ადრე, ბრალდებულსა და გარდაცვლილს შორის მოხდა კონფლიქტი, რომლის დროსაც ბრალდებულმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დედას და ხელის დასარტყმელად გაიწია, რისი საშუალებაც ოჯახის წევრებმა არ მისცეს.

კიდევ ერთი საქმე, სადაც იკვეთებოდა ძალადობის წინარე ისტორია, თუმცა, ამის მიუხედავად, გენდერული პერსპექტივით არ ყოფილა შესწავლილი, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ განიხილა. ეს საქმე შვილის მიერ დედის სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას უკავშირდებოდა.[34] ბრალდებულმა ხის სკამით, ასევე ხელებითა და ფეხებით სხეულის სხვადასხვა არეში სცემა და დაზიანებები მიაყენა დედას. მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებული ნასამართლევი იყო ოჯახში ძალადობისათვის როგორც ყოფილი მეუღლის, ასევე დედის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. მიუხედავად ამისა, გამოძიებას სათანადო ნაბიჯები არ გადაუდგამს საქმეზე გენდერული მოტივის გამოსაკვეთად. თუმცა, არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, შეფასება მომხდარიყო აღნიშნული დანაშაულის გენდერული მოტივის გამოსაკვეთად. წინარე ძალადობის შემთხვევები მიანიშნებს იმაზე, რომ ბრალდებულის ქმედებები გამომდინარეობდა ქალების მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულებიდან. შესაბამისად, აუცილებელია, რომ გამოძიება საფუძვლიანად გაეცნოს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ქალის მიმართ დანაშაულს ოჯახის წევრი კაცი ჩადის, რადგან ხშირად ოჯახში ძალადობა გენდერულ მოტივებს უკავშირდება.

საანგარიშო პერიოდში გენდერული პერსპექტივით არ ყოფილა შესწავლილი ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე, რომელიც მაზლის მიერ

32 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1157-23.

33 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/214-23.

34 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საქმე №1/118-2023.

რძლის მკვლელობის მცდელობას ეხებოდა.[35] მოცემულ საქმეში ბრალდებულმა, რომელიც დაზარალებულთან ერთად ერთ ოჯახში ცხოვრობდა და ალკოჰოლური თრობის ქვეშ, გამუდმებით სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მას, ბენზინის გამოყენებით, მცირეწლოვანი ბავშვის თანდასწრებით, რძლისთვის ცეცხლის წაკიდება სცადა, მას შემდეგ, რაც რძალმა მოუწოდა შეეწყვიტა მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გააფრთხილა, რომ პოლიციას მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის კონტექსტი და გარემოებები, მათ შორის, ძალადობის წინარე ისტორია, მიანიშნებს გენდერული მოტივის არსებობაზე, გამოძიებას დაზარალებულისა და სხვა გამოკითხული პირებისთვის არ დაუსვამს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობდა დანაშაულის გენდერული მოტივის გამოვლენას.

აღსანიშნავია, რომ კაცები, რომლებიც ქალებს კლავენ, სიცოცხლის განმავლობაში ავლენენ ქალთა მიმართ სიძულვილსა და ძალადობრივ ქცევებს.[36] აქედან გამომდინარე, გენდერული მოტივის გამოსავლენად საჭიროა არა მხოლოდ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ძალადობის ისტორიის შესწავლა, არამედ ბრალდებულის წარსული ქცევის ანალიზიც, რათა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა მას ქალთა მიმართ ძალადობრივი ქცევის სხვა შემთხვევები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე,[37] რომელიც ეხებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებულის მიერ ნაცნობი ქალისთვის სახის არეში მუშტის დარტყმას, რასაც დაზარალებულის დაცემა და ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვა. საქმეზე არ გამოკვლეულა გენდერული მოტივი, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული რამდენჯერმე იყო ნასამართლევი, 2017-2020 წლებში მის მიმართ გამოცემული იყო რამდენიმე შემაკავებელი ორდერი პარტნიორის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. გარდა ამისა, მან დაარღვია შემაკავებელი ორდერით დადგენილი ვალდებულებები, რასაც მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოჰყვა.

გამოძიებას დანაშაულის გენდერული მოტივი ასევე არ შეუსწავლია ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[38] რომელიც შეეხებოდა ბრალდებულის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეუღლის მკვლელობას. მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული ჩადენილი იყო ოჯახის წევრი მამაკაცის მიერ და მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი იყო, საქმე გენდერული ძალადობის ჭრილში არ შეფასებულა. საქმის მასალების მიხედვით, დაზარალებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ბოლო პერიოდში მთლიანად ბრალდებულზე იყო დამოკიდებული, მათ შორის, კვებისა და ჰიგიენური საჭიროებების თვალსაზრისით. მეზობლის ჩვენების მიხედვით, ბრალდებული ხშირად მოიხმარდა ალკოჰოლს; ასევე, მან გაიხსენა ეპიზოდი, როდესაც ცოლის მიერ ტანსაცმლის შეძენას კაცის აგრესია მოჰყვა. უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებული და დაზარალებული არ ყოფილან საქართველოს მოქალაქეები, რამაც გაართულა ძალადობის დინამიკის დადგენა, ისევე როგორც შესაბამისი ინფორმაციის მიღება, რადგან საქმესთან შემხებლობაში მყოფ პირთა წრეც შეზღუდული იყო. დამატებით, გამოძიებას არ უმსჯელია იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, თუ რა როლი შეასრულა დანაშაულის ჩადენაში ქალის ფიზიკურმა მდგომარეობამ და ქმარზე მისმა დამოკიდებულებამ, რაც მას კიდევ უფრო დაუცველს ხდიდა.

35 ახალქალაქის რაიონული სასამართლოს საქმე №1/23-23.

36 European Institute for Gender Equality, Defining and identifying femicide: a literature review, pg. 22. ხელმისაწვდომია: https://eige.europa.eu/publications-resources/publications/defining-and-identifying-femicide-literature-review?language_content_entity=en [ბოლოს ნანახია: 28.03.2025].

37 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/527-24.

38 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/44-24.

კიდევ ერთი საქმე, სადაც ფემიციდის მცდელობის გენდერული მოტივი ვერ დადგინდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა.[39] არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, დანის მრავალჯერადი დარტყმით, მეზობლების - მამისა და შვილის (ქალის), მკვლელობა სცადა. სასამართლო პროცესზე მიცემული ბრალდებულის ჩვენების თანახმად, მეზობელს სიგარეტი შეუტანა, შემდეგ ერთმანეთს ფერება დაუწყეს, ამ დროს სახლში გოგოს მამა შემოვიდა, რასაც მოჰყვა დაპირისპირება. თუმცა საპირისპიროს აცხადებდა დაზარალებული მამა-შვილი, რომელთა ჩვენების თანახმად, დაზარალებული აბაზანაში იყო, მაღაზიიდან მობრუნებულ მამას კი სახლში უნებართვოდ შემოსული ბრალდებული დახვდა, რასაც მოჰყვა ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში იკვეთებოდა მინიშნება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ინტიმურ ურთიერთობაზე, გამოძიებას დანაშაულის გენდერული მოტივი სათანადოდ არ გამოუკვლევია, მათ შორის არ დაუთვალიერებია ბრალდებულის მობილური ტელეფონი, რომელიც, შესაძლოა, საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას შეიცავდა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. ამასთანავე, გამოძიების პროცესში, დაზარალებულის გამოკითხვისას გამომძიებელი მხოლოდ ზოგადი ხასიათის შეკითხვით შემოიფარგლა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ტიპის ურთიერთობა აკავშირებდა მას ბრალდებულთან და არ დაუსვამს დამაზუსტებელი და უფრო სიღრმისეული შეკითხვები, რომლებიც გამოძიებას ძალადობის გენდერული მოტივის გამოკვლევაში დაეხმარებოდა.

პროკურატურის მიერ ქმედების სწორი კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა მცხეთის რაიონული სასამართლოს განხილულ საქმეში,[40] სადაც ცალსახად იკვეთებოდა, რომ დაზარალებულმა თვითმკვლელობა გენდერული ნიშნით მამის მხრიდან მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირების გამო სცადა.

მოცემულ საქმეში ბრალდებული, ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ, სისტემატურად შეურაცხყოფდა და ამცირებდა შვილს და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. თავად გამოძიებაც აღიარებდა, რომ საქმეში იკვეთებოდა გენდერული მოტივი, რაც გამოიხატა ბრალდებულისთვის დაზარალებულის მიმართ განხორციელებულ მუქარასთან დაკავშირებით წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაციაშიც. კერძოდ, ბრალდება ეფუძნებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ'' და ,,დ'' ქვეპუნქტებს, რაც გულისხმობს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ და ოჯახის წევრის მიმართ.

დაზარალებული არასრულწლოვნის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების თანახმად, ის გამოესარჩლა დედას, რომელსაც მამა იმის გამო ეჩხუბებოდა, რომ სხვა სოფელში მუშაობის გამო სახლში გვიან ბრუნდებოდა. შვილის შენიშვნას ბრალდებულის მხრიდან აგრესია მოჰყვა - მან შეაგინა და ჩხუბი დაუწყო დაახლოებით ერთი კვირის წინ, მის დაუკითხავად ღამე სხვაგან დარჩენის გამო, და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. საქმეში გენდერული ნიშნის არსებობაზე მიუთითებს არა მხოლოდ ბრალდებულის მხრიდან შვილის ქცევის კონტროლი, არამედ მეუღლისადმი დამოკიდებულებაც, როდესაც მის მიმართ, სამსახურიდან გვიან დაბრუნების გამო, აგრესიას ავლენდა.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4395-23.

40 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ 12 იანვრიდან - 19 იანვრის ჩათვლით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული სისტემატურად სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა არასრულწლოვან შვილს, რამაც დაზარალებულის ტანჯვა გამოიწვია. თუმცა, მიუხედავად ამისა, პროკურატურამ თვითმკვლელობის ეპიზოდთან დაკავშირებით გენდერის ნიშანი არ მიიჩნია დანაშაულის მაკვალიფიცირებულ გარემოებად.

ფემიციდის, ისევე როგორც სიძულვილით მოტივირებული ყველა სხვა დანაშაულის გამოძიებისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოტივის გამოვლენას. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა შემთხვევა უნდა შეისწავლებოდეს გენდერული პერსპექტივით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ძალადობა ხანგრძლივი, განმეორებადი და სოციალურ-კულტურული სტერეოტიპებით არის ნაკარნახევი.

ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიუთითებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე. სასამართლოს განმარტებით: ,,სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაადგინოს ძალადობრივი ქმედების უკან მდგარი სიძულვილის მოტივი, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი საშუალების გამოყენებას და არა იმას, რომ ამ ღონისძიების გამოყენების შედეგად სიძულვილის მოტივი აუცილებლად გამოიკვეთება. კონვენციით დაკისრებული ვალდებულება გულისხმობს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ყველა გონივრული ზომის გამოყენებას''.[41]

4.2. საპროცესო შეთანხმებების გაფორმება

საანგარიშო პერიოდში სამ საქმეზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეთაგან არცერთზე არ ყოფილა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება გენდერის ნიშანი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქმეზე გენდერული მოტივის გამოკვეთის მნიშვნელობაზე. განსაკუთრებით პრობლემურია მცხეთის რაიონული სასამართლოს[42] მიერ განხილული საქმე, რომელიც მამის მიერ გოგო შვილის თვითმკვლელობამდე მიყვანას ეხებოდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებული სისტემატურად ამცირებდა შვილს და ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით. გამოძიებამ აღიარა, რომ საქმეში იკვეთებოდა გენდერული ნიშანი, რასაც ადასტურებს მუქარასთან დაკავშირებით წარდგენილი ბრალდების კვალიფიკაცია, რაც მოიცავდა გენდერის ნიშანს. საქმეზე გენდერული მოტივი იკვეთება ბრალდებულის მხრიდან როგორც შვილის მიმართ კონტროლში, ისე მეუღლის მიმართ აგრესიულ ქცევაში, რაც უკავშირდებოდა სამსახურის გამო ქალის სახლში გვიან დაბრუნებას.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საპროცესო შეთანხმების მიხედვით, ბრალდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლის ვადით, საიდანაც 2 წელი ჩაეთვალა პირობით მსჯავრად. მოცემულ საქმეში საპროცესო შეთანხმების ფარგლებში გამოყენებული სასჯელი ზედმეტად ლმობიერია, ვერ უზრუნველყოფს დამნაშავისგან მსხვერპლის იზოლაციას და აჩენს დანაშაულის განმეორების რისკებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია მსჯავრდებულის იზოლირება იმ ვადით, რომელიც მომავალში უზრუნველყოფს დანაშაულის განმეორების თავიდან აცილებას. პრევენცია, რესოციალიზაციასა და

41 ŠKORJANEC v. CROATIA, paragraph 54 http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001172327.

42 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23.

სამართლიანობის აღდგენასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლაში. შესაბამისად, მსგავსი ხასიათის დამნაშავეთა მიმართ, შემდგომში ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს აუცილებელია ჰქონდეს მკაცრი პოლიტიკა.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც არსებითი განხილვის გარეშე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ,[43] ეხებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებულის მიერ ნაცნობი ქალისთვის სახის არეში მუშტის დარტყმას, რასაც დაზარალებულის დაცემა და სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მოჰყვა. საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული რამდენჯერმე იყო ნასამართლევი. ამასთანავე, მის წინააღმდეგ რამდენიმე შემაკავებელი ორდერია გამოცემული.

ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულს არაერთხელ მიენიჭა სამართლებრივი შეღავათები, მათ შორის, საპროცესო გარიგებების ან მსუბუქი სასჯელების სახით, მას მაინც არ შეუწყვეტია დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა. განსაკუთრებით საყურადღებოა ბრალდებულის ძალადობრივი ქცევის სისტემატურობა, მათ შორის, პარტნიორის მიმართ ჩადენილი ძალადობის ისტორია. ამდენად, ასეთი პირის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმება უნდა განიხილებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ წარმოიქმნას.

ფემიციდის მცდელობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი დასაშვებია, თუკი საპროცესო შეთანხმების პირობები უზრუნველყოფს ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური სიმკაცრის სასჯელის დანიშვნას, ბრალდებულისთვის საკუთარი ქმედების გააზრების შესაძლებლობის მიცემას და, რაც მთავარია, ფემიციდის პრევენციას. ამ საქმეში ასევე პრობლემურია სასჯელის საკითხი, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების ფარგლებში, ბრალდებულს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, აქედან 1 წელი პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, 3 წელი კი ჩაეთვალა პირობით და ასევე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი, რაც ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას.

შედარებით სამართლიანი და ჩადენილი ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებასთან ადეკვატური იყო საპროცესო შეთანხმების პირობები თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[44] სადაც ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებულმა ანგარების მოტივით განიზრახა შეკვეთით ოჯახის წევრის, ბებიის განზრახ მკვლელობა, და ამ მიზნით შესაბამისი პირი დაიქირავა. საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე სასამართლომ გამოიკვლია, რომ დაზარალებული თანახმა იყო ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას სიფრთხილით უნდა შეფასდეს დაზარალებულის პოზიცია ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არქონასთან დაკავშირებით, ვინაიდან, შესაძლოა, ფემიციდის საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე, ბრალდებულის მიმართ პრეტენზიის არარსებობა საზოგადოების წნეხის ან ნათესავების მხრიდან ზემოქმედებით იყოს განპირობებული. სასამართლო კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებისას უნდა დარწმუნდეს, რომ დაზარალებულის პოზიცია არ არის ზეწოლის, მუქარის ან შიშის შედეგი, რაც გავლენას ახდენს მის რეალურ ნებაზე.

43 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/527-24.

44 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1157-23.

4.3. ფემიციდით დაზარალებული ბავშვები

,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენციის 26-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, ძალადობის მსხვერპლად აღიარონ ბავშვები, რომლებიც შეესწრნენ ოჯახში ძალადობას. ,,ძალადობის მოწმე ბავშვი'' ფართოდ განიმარტება და მოიაზრებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვები უშუალოდ არ შესწრებიან ძალადობის სცენებს, თუმცა მათ ესმოდათ ყვირილი ან ძალადობის ამსახველი სხვა ხმები, ანდა ხანგრძლივად განიცდიან ძალადობის შედეგებს.

წლებია, არაერთგვაროვანია პრაქტიკა საქართველოს პროკურატურის მიერ მოკლული ქალების იმ მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი შვილების დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, რომლებიც შეესწრნენ ფემიციდის შემთხვევას ან გაიგონეს ძალადობის ხმა.

საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანი შვილების დაზარალებულად ცნობის საკითხი რელევანტური იყო ხუთ საქმეში. ხუთი საქმიდან ორ საქმეზე პროკურატურამ სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, დაზარალებულად ცნო მსხვერპლი ქალის არასრულწლოვანი შვილები. დადგენილება არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობის თაობაზე არ ყოფილა მიღებული სამ საქმეზე, რომლიდანაც 1 საქმეში ბავშვები არასრულწლოვნები იყვნენ, ხოლო 2 საქმეში - მცირეწლოვნები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[45] პროკურატურამ დაზარალებულად არ ცნო არასრულწლოვანი ბავშვები, რომლებიც დედის თვითმკვლელობის მცდელობის დროს სახლში იმყოფებოდნენ. მათ საკუთარი ყურით მოისმინეს, როგორ მოუწოდებდა მამა დედას, სანამ ჩემი ცოლი ხარ, რასაც გეტყვი, ისე უნდა გააკეთოო. რამდენჯერმე შეაგინა, უყვიროდა, სანამ მოგკლავ, მანამდე თვითონ მოიკალი თავიო.

ამ პერიოდში ბრალდებულის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, თუმცა ის არღვევდა ორდერით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, შვილის მობილურზე განხორციელებული ვიდეოზარის მეშვეობით უკავშირდებოდა ცოლს და შერიგებას სთხოვდა.

ბავშვებმა მოისმინეს მამის მიერ დედის მიმართ განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა, დამამცირებელი და მუქარის შემცველი სიტყვები და აღმოჩნდნენ უკიდურესად სტრესულ გარემოში. გარდა ამისა, ისინი დედის თვითმკვლელობის მცდელობას უშუალოდ შეესწრნენ და დახმარებასაც სწორედ მათ მოუხმეს. მიუხედავად ამისა, პროკურატურამ არასრულწლოვანი ბავშვები დაზარალებულად არ ცნო.

არასრულწლოვნები დაზარალებულად ასევე არ უცნია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმეში,[46] სადაც ბრალდებულმა, განსაკუთრებული სისასტიკით, დანის სხეულის სხვადასხვა ადგილში რამდენჯერმე დარტყმით, ორსული მეუღლის მკვლელობა ორი მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით სცადა.

პროკურატურამ ბავშვი დაზარალებულად ასევე არ ცნო ახალქალაქის სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[47] მიუხედავად იმისა, რომ მცირეწლოვანი ბავშვი სახლში იმყოფებოდა, როდესაც ბრალდებული ბენზინის გამოყენებით ძმის ცოლის - ბავშვის ბებიის დაწვას ცდილობდა

45 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

46 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/962-23.

47 ახალქალაქის რაიონული სასამართლოს საქმე №1/23-23.

.ზემოხსენებულ შემთხვევებში, პროკურატურის მიდგომა პრობლემურია, რადგან სამივე შემთხვევაში სახეზე იყო სტამბოლის კონვენციით დადგენილი სტანდარტის დაკმაყოფილების წინაპირობა. ამასთანავე, ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის ზოგადი კომენტარი №7[48] ხაზგასმით მიუთითებს, რომ მცირეწლოვან ბავშვებს არ აქვთ შესაძლებლობა თავიდან აირიდონ ან წინააღმდეგობა გაუწიონ ძალადობას, რომელიც ხშირად ოჯახში ხდება და განსაკუთრებულად დესტრუქციული ხასიათისაა. ისინი სრულად ვერ აცნობიერებენ არსებულ მდგომარეობას და ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ დახმარებისთვის სხვებს მიმართონ. კომენტარის მიხედვით, არსებობს მკაფიო მტკიცებულება, რომ ძალადობის შედეგად მიყენებული ტრავმა მნიშვნელოვნად აზიანებს ბავშვის განვითარებას, მათ შორის, ყველაზე ადრეულ ასაკშიც. შესაბამისად, კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯი მცირეწლოვანი ბავშვების დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება საქმეებს, სადაც პროკურატურამ არასრულწლოვნები დაზარალებულად ცნო, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[49] პროკურატურამ დაზარალებულად ცნო ქალის არასრულწლოვანი შვილები, რომლებსაც ყვირილის ხმაზე გაეღვიძათ, თავიანთი ოთახიდან გამოვიდნენ და დაინახეს, როგორ გამეტებით ურტყამდა მამა დანას ლოგინში მწოლიარე დასისხლიანებულ დედას, რამაც მათში წარუშლელი ტრავმა გამოიწვია.

არასრულწლოვნის ჩვენება: ,,დედაჩემის ყვირილის ხმამ გამაღვიძა: ,,მიშველეთ, მკლავსო''. იმწამიერად წამოვხტი და გავედი მისაღებ ოთახში, სადაც დავინახე, რომ დედაჩემი გულაღმა იწვა საწოლზე, მამაჩემი მის ზემოდან იყო გადამჯდარი... მთელი ლოგინი სისხლით იყო მოსვრილი, სისხლით იყო დასვრილი იატაკიც, მე ფეხშიშველი გავრბოდი იატაკზე და მთლიანად დამისისხლიანდა კიდურები, რის გამოც მივხვდი, რომ დედაჩემი სისხლში ცურავდა. დედაჩემის გადასარჩენად მამაჩემს მივვარდი, ვკიოდი, ,,თავი დაანებე, რას აკეთებ-მეთქი და ვცდილობდი დედაჩემისგან გამომეყვანა''. გაშველების დროს 14 წლის შვილმა დაზიანებაც მიიღო, როდესაც დედისთვის მოქნეული დანა მას მოხვდა, მხოლოდ ამის შემდეგ გაჩერდა მამა, რომელმაც დედას თავი დაანება, თუმცა თვითდაზიანების მიყენებაზე გადავიდა, თან შვილს ეუბნებოდა: ,,მეც უნდა მოვკვდე და დედაშენიცო''.

პროკურატურამ ასევე დაზარალებულად ცნო არასრულწლოვნები სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[50] სადაც ბრალდებულის მეუღლემ, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, თვითმკვლელობა სცადა. ქალის არასრულწლოვანი შვილები გამოკითხვაში მამის მხრიდან დროის ხანგრძლივ პერიოდში დედის მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე საუბრობდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურამ ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის მოწმე არასრულწლოვნები ყველა საქმეზე დაზარალებულად ცნოს და ეს არ იყოს დამოკიდებული ინდივიდუალური პროკურორის სუბიექტურ შეხედულებაზე. ამასთანავე, როდესაც ძალადობის შემსწრე ბავშვი მცირეწლოვანია, აუცილებელია თითოეულ შემთხვევაში, ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტმა შეაფასოს ძალადობის იმწუთიერი და ხანგრძლივი გავლენა ბავშვზე და ეს შეფასება გაითვალისწინონ არასრულწლოვნის დაზარალებულად ცნობის საკითხის გადაწყვეტისას.

---

48 ხელმისაწვდომია: https://www.refworld.org/legal/general/crc/2006/en/40994, გვ. 16, მუხლი 19. [ბოლოს ნანახია: 06.04.2025].

49 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

50 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე №1/120-23.

4.4. გამოძიების ეტაპზე გამოვლენილი სხვა ხარვეზები

ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის გამოძიების ეტაპზე ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება ისეთი ხარვეზები, როგორებიცაა საქმის სრულყოფილად შესასწავლად საჭირო ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩაუტარებლობა, ასევე, საგამოძიებო მოქმედების საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევით განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში გამოძიების ეტაპზე გამოვლინდა ისეთი ხარვეზებიც, როგორიცაა თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის ფაქტთან დაკავშირებით სამედიცინო ისტორიის არგამოთხოვა, ასევე არ ამოუღიათ წამლები, რომლებიც დაზარალებულმა ქმედების განსახორციელებლად გამოიყენა.[51] საანგარიშო პერიოდში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეთა გამოძიებისას, ასევე გამოიკვეთა არასრულწლოვანთა გამოკითხვა ფსიქოლოგის მონაწილეობის გარეშე.[52]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის გამოკითხვისას, საპროცესო მოქმედების განმახორციელებელი პირი, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის მონაწილეობას. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის დროს უწევს მას ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. შესაბამისად, ფსიქოლოგის ჩართულობა მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად და არასრულწლოვანში ტრავმის და სტრესის სიმპტომების გამძაფრების შემთხვევაში პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების აღმოსაჩენად.

ასევე, უნდა აღინიშნოს შემთხვევა,[53] სადაც, მართალია, საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა დაზარალებულმა, სასამართლო პროცესზე, ჩვენება მოძალადის სასარგებლოდ შეცვალა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმეში,[54] ადგილი ჰქონდა ფემიციდის მცდელობას. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას სახის არეში დარტყმით ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება მიაყენა თავის საცოლეს. დაზარალებულმა საქმის არსებით განხილვაზე ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვალა ჩვენება, რის შემდეგაც პროკურორმა ქალს ანახა გამოკითხვის ოქმი, რომელშიც ის ბრალდებულის დანაშაულებრივ ქმედებას აღწერდა. მისასალმებელია, რომ სასამართლომ, ქალის ჩვენების მიუხედავად, ბრალდებული დამნაშავედ ცნო და მიიჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდებოდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა.

დადებითად უნდა აღინიშნოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე,[55] სადაც გამოძიებამ გაითვალისწინა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების სპეციფიკა, სასამართლოს განჩინებით ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და უზრუნველყო საქმეზე მტკიცებულებების მოპოვება. ამ საქმეში ბრალდებულმა, ქალისადმი სტერეოტიპული

51 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

52 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/452-23; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-24.

53 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-809/23.

54 ბათუმის საქალაქო სასამართლოს საქმე №1-809/23.

55 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/962-23.

შეხედულებების გამო, განსაკუთრებული სისასტიკით, სცადა მეუღლის განზრახ მკვლელობა და მას სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანებები მიაყენა, თუმცა გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად ის სიკვდილს გადაურჩა.

გამოძიების ეტაპზე, რადგანაც არსებობდა საფუძველი, რომ დაზარალებული არ მისცემდა ჩვენებას მეუღლის წინააღმდეგ, რაც ხელს შეუშლიდა გამოძიებას მტკიცებულებების მოპოვებაში, გადაწყდა, რომ ასევე არსებობდა საფუძველი დაზარალებულის გამოკითხვის ვიდეოგადაღებისთვის - ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად, რაც საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით განხორციელდა. მსგავსი საგამოძიებო მოქმედებები სასამართლოს ეხმარება გამამტყუნებელი განაჩენის მიღებაში იმ პირობებში, როდესაც დაზარალებული სასამართლო პროცესზე უარს აცხადებს მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო უწყებამ, კანონმდებლობით დადგენილი ჩარჩოს ფარგლებში, უზრუნველყოს საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, მოიპოვოს ყველა შესაძლო მტკიცებულება, რაც ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე საზოგადოების რეაგირების არასათანადო პრაქტიკის ერთ-ერთი საგანგაშო შემთხვევა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[56] გამოკითხული მეზობლის ჩვენების თანახმად:

,,საძინებელი ოთახის ფანჯარა ნაწილობრივ გადმოღებული მქონდა, რა დროსაც გარედან მომესმა ხმები, გავარჩიე სიტყვები ,,ნუ მირტყამ'', ასევე ამის შემდეგ ისმოდა დარტყმის ხმები. მოცემული ხმები არ წყდებოდა, მე გავედი აივანზე და დავინახე, რომ ჩემს გვერდითა ბინაში აივანზე იყო მამაკაცის სილუეტი. მე ყოველივე ერთმანეთთან დავაკავშირე, თავი უხერხულად ვიგრძენი, შევედი ოთახში და მაშინვე დავხურე ფანჯარა, რის შემდეგაც მეტი არაფერი გამიგონია".

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელმა ამოიცნო ძალადობის აშკარა ნიშნები, მისი რეაქცია პირად სივრცეში დაბრუნებითა და შემდგომი ქმედებებისგან თავის შეკავებით შემოიფარგლა.

ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კვლავ ძლიერ არის ფესვგადგმული სტერეოტიპი, რომ ოჯახური ძალადობა ,,პირადი საქმეა» და მასში ჩარევა არ შეიძლება. ასეთი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აფერხებს ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიან რეაგირებას. ამდენად, აუცილებელია, რომ მსგავს შემთხვევებზე რეაგირებისას სახელმწიფომ გააძლიეროს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.

4.5. ძალადობის წინარე ისტორია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ,,ოჯახში ძალადობა იშვიათად არის ერთჯერადი ინციდენტი; ის ჩვეულებრივ მოიცავს ოჯახის ახლო წევრის ან პარტნიორის კუმულატიურ და ურთიერთდაკავშირებულ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ემოციურ, სიტყვიერ და ეკონომიკურ ძალადობას, რომელიც

56 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4809-23.

სცდება ცალკეული შემთხვევის გარემოებებს'';[57] სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ,,ოჯახში ძალადობა შეიძლება გაგებული იყოს როგორც უწყვეტი დანაშაულის კონკრეტული ფორმა, რომელიც ხასიათდება ქმედების განგრძობადობით, რომელშიც თითოეული ცალკეული შემთხვევა ქმნის უფრო ფართო ერთობლიობას''.[58]

ამდენად, ქალის მკვლელობის ან მკვლელობის მცდელობის ფემიციდად ან ფემიციდის მცდელობად შეფასებისთვის არსებითია იმის დადგენა, დანაშაულამდე ჰქონდა თუ არა ადგილი დამნაშავის მხრიდან მსხვერპლის მიმართ ძალადობას, ვინაიდან ფემიციდი ხშირად არის სისტემატური გენდერული ძალადობის კულმინაცია. გარდა ამისა, ძალადობის წინარე ისტორიის ანალიზი მნიშვნელოვანი ფაქტორია დანაშაულის მოტივის განსაზღვრისა და შესაბამისი სასჯელის დაკისრების პროცესში.

დიაგრამა 9:
ძალადობის შეტყობინებები ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებში



საქართველოს სახალხო დამცველმა წინამდებარე ანგარიშში მოყვანილ საქმეებზე შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია ფემიციდამდე ან ფემიციდის მცდელობამდე წინარე შეტყობინების თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის შესწავლილი 22 საქმიდან, ამგვარი წინასწარი შეტყობინებები დაზარალებულის მხრიდან ბრალდებულის მიმართ გაკეთებული იყო 3 საქმეზე.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულყოფილად არ მოუწოდებია ინფორმაცია ფემიციდამდე ან ფემიციდის მცდელობამდე წინარე შეტყობინების თაობაზე. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმესთან[59] მიმართებით, არ წარმოუდგენია ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ არსებული შემაკავებელი ორდერის შესახებ. ამ საქმესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამართალდამცავ უწყებას არ

57 Volodina v. Russia (Application No. 41261/17, 07.07.2019).
58 Valiuliene v. Lithuania (Application No. 33234/07, 26.03.2013).
59 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

გამოუყენებია ყველა ზომა მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად, მათ შორის, არ ყოფილა გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობა. გარდა ამისა, ზესტაფონის რაიონული საქალაქოს მიერ განხილული საქმის[60] მასალების თანახმად, ბრალდებული გასამართლებული იყო როგორც ყოფილი მეუღლის, ასევე დედის მიმართ განხორციელებული ოჯახში ძალადობის გამო, თუმცა ამის თაობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველისთვის არ უცნობებია.

აღსანიშნავია, რომ გამოძიება, ყველა შემთხვევაში დაინტერესდა ამგვარი წინასწარი შეტყობინებების საკითხით და გამოითხოვა და მკვლელობის საქმეებს დაურთო ადრეული შეტყობინებების დამადასტურებელი შემაკავებელი ორდერის თუ განაჩენების ასლები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ იმ საქმეებში, სადაც არ იძებნებოდა ოფიციალური ჩანაწერები ძალადობის ფაქტებზე, გამომძიებლები დაზარალებულს ან დაზარალებულის ახლობლებს ეკითხებოდნენ ძალადობის ისტორიის თაობაზე. რიგ საქმეებში მოწმეები ადასტურებდნენ ბრალდებულის მხრიდან ძალადობის არსებობას, თუმცა აცხადებდნენ, რომ ბრალდებულის შიშით დაზარალებულები არ მიმართავდნენ სამართალდამცავ ორგანოებს.[61]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმეში,[62] გარდაცვლილი ქალის არასრულწლოვანი შვილი ჩვენებაში ამბობს: ,,რამდენჯერმე გადავწყვიტეთ მე და დედამ, რომ პოლიციაში მივსულიყავით, მაგრამ გადავიფიქრეთ. **დედა ბოლოს მაინც იმას ამბობდა ხოლმე, მეცოდება და იქნებ გამოსწორდესო, მაგრამ არ უნდა შესცოდებოდა, ეს იყო მისი შეცდომა''.**

ჩვენება ნათლად ასახავს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას. დაზარალებულები სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვისგან თავს იკავებენ სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორისაა შიში, ემოციური მიჯაჭვულობა, ეკონომიკური დამოკიდებულება ან სოციალური სტიგმა. აღნიშნული ასევე ადასტურებს სახელმწიფოს მხრიდან პრევენციული ღონისძიებების გაძლიერების საჭიროებას, რაც გულისხმობს ეფექტიანი დაცვითი და მხარდაჭერის სერვისების შექმნას, რომლებიც მსხვერპლს, ტრაგიკული შედეგის დადგომამდე, დაეხმარება ძალადობისგან თავის დაღწევაში.

60 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საქმე №1/118-2023.

61 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/962-23, რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

62 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

5. ხარვეზები სასამართლო განხილვისას

5.1. სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნის განმარტება და დასაბუთება

საანგარიშო პერიოდში გენდერული ნიშნით წარდგენილ ბრალდებებზე მსჯელობა, სასამართლოებს 9 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მოუწიათ, საიდანაც სასამართლომ მხოლოდ 1 საქმეში გაამართლა ბრალდებული დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განხილულ საქმეში[63] დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივი ვერ დაინახა. მოცემულ საქმეში, ბრალდების თანახმად, ბრალდებული, მეუღლეს, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ როგორც მამაკაცს, უპირატესობა აქვს ქალზე, ქალი უნდა ემორჩილებოდეს მამაკაცს და ქალს არ აქვს მუშაობის უფლება, ძალის გამოყენებით აიძულებდა ჩამჯდარიყო მის მფლობელობაში არსებულ ავტომანქანაში. წინააღმდეგობის გაწევისას ქალი წაიქცა, თუმცა ბრალდებული განაგრძობდა ძალის გამოყენებით მის მანქანისკენ წაყვანას, ამბის შემსწრე ორი პირი დაეხმარა დაზარალებულს, რაზეც გაბრაზებულმა ბრალდებულმა განიზრახა მათი მოკვლა და დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანით დაეჯახა მათ. მეუღლემ მოახერხა გადახტომა და გაქცევა, თუმცა ბრალდებული გაეკიდა ქარხნული წესით დამზადებული, საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების მაკრატლით, ძირს დააგდო და რამდენჯერმე მოუქნია სხეულის მიმართულებით, თუმცა ადგილზე შეკრებილმა ადამიანებმა შეძლეს მისთვის ხელის შეშლა.

სასამართლოს განაჩენში აღნიშნულია: ,,სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადასტურდა ბრალდებულის ქმედებებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის არსებობა. შემაკავებელი ორდერი ამ მიმართებით მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა და დისკრიმინაციის მოტივის უტყუარად დასადგენად ცალსახად არასაკმარისია. გამოკვლეული მტკიცებულებებიდან არ იკვეთება, რომ ბრალდებული დაზარალებულს აქცევდა რაიმე სტერეოტიპულ ჩარჩოებში ან აკნინებდა მისი, როგორც ქალის როლს და სწორედ ამ მოტივით განახორციელა მისი ფიზიკური იძულება ან მკვლელობის მცდელობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 11^1, 19, 109-ე მუხლის ,,თ'' ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს''.

მოცემულ საქმეში სასამართლომ არასწორად განმარტა გენდერის ნიშანი და ყურადღების მიღმა დატოვა საქმეში არსებული ძალადობის წინარე ისტორია, რაც დასტურდებოდა ოფიციალური დოკუმენტით - შემაკავებელი ორდერით, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრალდებული ქალს უკრძალავდა მუშაობას, ასევე ის გარემოება, რომ შემთხვევის დღეს, ბრალდებული, ქალს, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძალის გამოყენებით აიძულებდა მანქანაში ჩაჯდომას.

63 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/7452-23.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებზე ვიწროდ არ განმარტონ გენდერის ნიშანი და გაითვალისწინონ ოჯახში ძალადობის კონტექსტი, ვინაიდან გენდერული მოტივის ვიწრო განმარტება ზღუდავს სისხლის სამართლის პოლიტიკის ეფექტიანობას და ხელს უშლის ქალთა მიმართ ძალადობის რეალური სურათის გამოვლენას.

მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე საქმეში, მართალია, სასამართლომ ბრალდებული გაამტყუნა დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენაში, თუმცა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში არ უმსჯელია და არ დაუსაბუთებია, თუ რაში გამოიხატებოდა დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენა.

მაგალითად, დანაშაულის გენდერულ ნიშანზე მსჯელობას არ ვხვდებით თელავის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე,[64] სადაც სასამართლომ მხოლოდ მიუთითა, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებაში - ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ და ორი პირის მიმართ. წინამდებარე საქმეში ბრალდებულის ყოფილი მეუღლე დაოჯახდა. ბრალდებული მიიჩნევდა, რომ მას ამით შეურაცხყოფა მიაყენეს, რადგან თვლიდა, რომ ყოფილ მეუღლეს არ ჰქონდა პირადი ცხოვრების განკარგვისა და სხვა მამაკაცზე ქორწინების უფლება. შედეგად, ის ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მივიდა მათთან სახლში, მრავალჯერ გაისროლა, ქმარი მოკლა, ყოფილი მეუღლე კი დროული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მოსამართლეს ეკისრება სისხლის სამართლის საქმის როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი გარემოებების დასაბუთების ვალდებულება. მართალია, საქმეში არსებობდა დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომ დანაშაული გენდერული ნიშნით იყო ჩადენილი, მაგრამ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მოსამართლე არ უთითებს, კონკრეტულად რომელმა მტკიცებულებებმა მიიყვანა იმგვარ დასკვნამდე, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული გენდერული ნიშნით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსამართლეს არ განუმარტავს, რაში გამოიხატებოდა გენდერული ნიშანი. შესაბამისად, მოსამართლეს არ გაუთვალისწინებია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის კრიტერიუმები.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ქმედება გენდერული ნიშნით იყო ჩადენილი, სასამართლოს არ წარმოუდგენია სიღრმისეული მსჯელობა გენდერის ნიშანთან დაკავშირებით. თელავის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 2 ივლისის განაჩენი[65] ამის ნათელი მაგალითია. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მხოლოდ აღნიშნულია, რომ დანაშაული გენდერული ნიშნითაა ჩადენილი, თუმცა არ არის წარმოდგენილი დეტალური მსჯელობა იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა აღნიშნული. საქმე ეხებოდა ბრალდებულის მიერ განხორციელებულ განზრახ მკვლელობას, ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებაში, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ადგილი ჰქონდა იძულებით ქორწინებას, არასრულწლოვანმა გოგომ გაბედა და ქორწინებისათვის თავის არიდების მიზნით ბრალდებულისგან გაიქცა, თუმცა ოჯახმა ის უკან დააბრუნა. ამ ფაქტიდან დაახლოებით 2 თვეში, შეურაცხყოფილმა ბრალდებულმა,

64 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-24.

65 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/945-23.

რომელიც მიიჩნევდა, რომ არასრულწლოვანს არ ჰქონდა პირადი ცხოვრების განკარგვისა და მასთან ქორწინებაზე უარის თქმის უფლება, ის ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალ-ჯერადი გასროლით მოკლა.

აღნიშნულ საქმეში სასამართლოს ძალიან კარგი შესაძლებლობა ჰქონდა სიღრმისეულად ემსჯელა დანაშაულის გენდერულ მოტივაციაზე, მათ შორის:

- ბავშვთა ქორწინების საზიანო პრაქტიკაზე - გარდაცვლილი არასრულწლოვანი იძულებითი ქორწინების მსხვერპლი იყო. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ემსჯელა ამ საკითხზე და მიეთითებინა, რომ ბავშვთა ქორწინება ხშირად მიმართულია გოგოების თვითდამკვიდრების, თვითგამოხატვის და გადაწყვეტილებების მიღების უფლების შეზღუდვისკენ, რაც ამ კონკრეტულ საქმეშიც დასტურდებოდა;
- ქორწინებაზე უარის თქმის ფაქტორზე - სასამართლოს შეეძლო განეხილა, იყო თუ არა ეს გარემოება ძალადობის გამომწვევი და როგორ უკავშირდებოდა ის დანაშაულის მოტივს;
- ძალადობის პროცესსა და კულმინაციაზე - სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა, შეეფასებინა, როგორ ვითარდებოდა ძალადობა დროის განმავლობაში, როგორი იყო მისი დინამიკა და როგორ მივიდა ფემიციდამდე.

თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულ მსჯელობას სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვერ ვხვდებით.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში შესწავლილ საქმეებში სასამართლოები გადაწყვეტილების დასაბუთებაში უმრავლეს შემთხვევაში მოიხმობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, პრეცედენტული სამართლის ციტირებას შაბლონური ხასიათი ჰქონდა და ევროპული სასამართლოს სტანდარტები კონკრეტული რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების ანალიზში არ აისახებოდა.

მისასალმებელია ქუთაისის,[66] თბილისის[67] და რუსთავის[68] საქალაქო სასამართლოების განმარტებები დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენასთან დაკავშირებით. აღნიშნულ განაჩენებში მოსამართლეები საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად ასაბუთებენ დანაშაულის გენდერის მოტივით ჩადენას, ასევე ჯეროვნად განმარტავენ გენდერულ სტერეოტიპებს და დანაშაულებრივი ქმედების გამართლების კონტექსტში მათ არარელევანტურობას. რუსთავის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: ,,საყურადღებოა დაცვის მხარის პოზიცია მეუღლის ღალატის თაობაზე, რომელიც, შესაძლოა, ბრალდებულისთვის სუბიექტურად წარმოადგენდა მსხვერპლის მიერ პროვოცირებულ ისეთ ამორალურ ქცევას, რამაც აფექტში ჩააგდო და დანაშაულამდე მიიყვანა. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ამორალურობა, რაც საქართველოს სსკ-ის 111-ე მუხლის დისპოზიციაში სახელდებითაა მოხსენიებული, რაც არა მხოლოდ სუბიექტურად, არამედ - ობიექტურად შესაფასებელი კატეგორიაა... საზოგადოებაში, სადაც სასამართლოს ჯერ კიდევ უწევს ღირსების დანაშაულზე მსჯელობა, სექსუალური ხასიათის დამამცირებელ მოპყრობასა და ცოლ-ქმრულ ღალატს ძალიან დიდი ადგილი უკავია მძიმე შეურაცხყოფის ჭრილში. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ამორალურობის სუბიექტური საზომი, დემოკრატიულ საწყისებზე დამყარებულ სამართლის სისტემაში დაუშვებელია სასამართლომ ამორალურ ქცევად და მის დასტურად

66 ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/962-23.

67 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

68 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

მიიღოს არსებითად სტერეოტიპულ გენდერულ წარმოდგენებზე დაფუძნებული ირიბი ინფორმაციები, რომლითაც გაჯერებული იყო დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები. ისინი არ არიან ღალატის ფაქტის შემსწრენი და მათი ჩვენებები ღალატის თაობაზე ეფუძნება ხალხში მოარულ ხმებსა და დამკვიდრებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებს, როგორიცაა, მაგალითად, მოსაზრებანი, რომ: ქალი, რომელიც თამამად იცვამს, ,,ბოზია'' (ავტ.: სტილი დაცულია); ქალი, რომელიც ბებიას დაუტოვებს ბავშვს და თვითონ სახლში მარტო დაიძინებს, ,,ბოზია''; ,,ასეთი ქალი არათუ მოსაკლავია, არამედ - დასახვრეტია''. სწორედ ამგვარი წარმოდგენებით იყო სავსე დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები, რაც უფრო გაჯერებული იყო დისკრიმინაციული განწყობებითა და სიძულვილის ენით, იმდენად მოკლებული იყო ფაქტობრივ საფუძველს''.

სასამართლომ სამართლებრივ არგუმენტაციაში ასევე მოიხმო ,,ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (შემდეგში - სტამბოლის კონვენცია) და აღნიშნა, რომ საქართველომ კონვენციასთან მიერთებით გაიზიარა პრეამბულაში აღიარებული დებულება, რომ ქალები და გოგოები ხშირად ხდებიან ისეთი სერიოზული ფორმის ძალადობის მსხვერპლნი, როგორიცაა ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი დანაშაული. ასევე მიუთითა კონვენციის 42-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ე.წ. ,,ღირსების საკითხი'' არ ჩაითვალოს კონვენციის სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის გამართლებად. აღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რუსთავის საქალაქო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ დაცვის მხარის პოზიციები, რომლის თანახმად მსხვერპლმა გაბედა და გაარღვია გაბატონებული ქცევის კულტურული ან ტრადიციული ნორმები და გამოიწვია მამაკაცის აფექტური მდგომარეობა, ეწინააღმდეგება კონვენციის სულისკვეთებას, რადგან ღირსების შელახვის გამო ჩადენილი ფემიციდური დანაშაული არ შეიძლება ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად.

5.2. სასამართლოს მიერ 53[1] მუხლის გამოყენება და სასჯელის დასაბუთება

მონიტორინგის პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლით სასამართლოს მიერ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო სასჯელის დამძიმება, როდესაც ეს ნიშანი არ იყო ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება. ამ მუხლის თანახმად, თუ ბრალდების შესახებ დადგენილებაში გენდერის ნიშანი მაკვალიფიცირებელ გარემოებად არ არის მითითებული, მაგრამ სასამართლო დაადგენს გენდერული მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ის ვალდებულია, სსკ-ს 53[1] მუხლის გამოყენებით სასჯელის მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მეტი ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში შესწავლილი ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის 10 საქმეში სასამართლოს არ დაუნახავს გენდერული მოტივი, როდესაც ის ბრალდების კვალიფიკაციაში თავიდანვე არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში 53[1] მუხლის მე-3 ნაწილი გამოყენებული არ ყოფილა.

ამასთან კავშირში უნდა აღინიშნოს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, ,,გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ''.[69] აღნიშნულ საქმეში სტრასბურგის

69 Gaidukevich v. Georgia (Application No. 38650/18).

სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა[70] ეროვნული სასამართლოების ვალდებულებაზე, რომ ძალადობა განიხილონ არა როგორც ცალკეული დანაშაული, არამედ როგორც გენდერული ნიშნით მოტივირებული ქმედება, რომელიც საჭიროებს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას. კონვენციის დარღვევაზე მსჯელობისას სასამართლომ ცალკე პარაგრაფი დაუთმო იმ გარემოებას, რომ საგამოძიებო ორგანოების მსგავსად, სასამართლომაც უგულებელყო დანაშაულის გენდერული მოტივი:

,,68. გ.კ-ს სასამართლო პროცესი და გამამტყუნებელი განაჩენი არ მოიცავდა დანაშაულებრივი ქმედების გენდერული დისკრიმინაციის შესაძლო როლის გამოკვლევას (ამასთან დაკავშირებით იხ. ,,გრევიო''-ს შეფასების ანგარიში - GREVIO/Inf (2022)28)''.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მათ შორის, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედების ჩადენის სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს.

გაანალიზებული საქმეებიდან, რიგ შემთხვევებში[71] სასამართლო უთითებდა, რომ საქმეში არ არსებობდა დამამძიმებელი ან/და შემამსუბუქებელი გარემოებები, ხოლო რიგ საქმეებში აღნიშნავდა:

- სასამართლოს განაჩენებში პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ,[72] წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში,[73] ასევე პირის ნასამართლობა;[74]
- რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, ერთ-ერთ განაჩენში[75] დასახელებული იყო, რომ დამნაშავემ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, მტკიცებულებები გახადა უდავოდ, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს იყო შეზღუდული შერაცხადობის მქონე.

უნდა აღინიშნოს, რომ დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად, სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ასევე ითვალისწინებდა დაზარალებულის და ბრალდებულის შერიგების საკითხს,[76] ბრალდებულის საქციელს დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ[77] (მკვლელობის შემდეგ მან დაიქირავა სხვა მანქანა, გარდაცვლილის გვამი გადაიტანა დაქირავებულ მანქანაში და კვალის დაფარვის მიზნით ხევში გადააგდო), ქმედების ჩადენის სახესა და ხერხს (ბრალდებულის მიერ, სასიკვდილოდ გამეტებული პირისათვის სხვადასხვა მკვრივი ბლაგვი საგნისა და ელ. შოკერის გამოყენებით დაზიანების მიყენება ბრალდებულის ზღვარგადასულ სისასტიკეზე მიუთითებს).

70 Ibid. § § 66-68.

71 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/292-23; თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-2; რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

72 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1/214-23.

73 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/945-23.

74 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4395-23.

75 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4792-23.

76 ზესტაფონის რაიონული სასამართლოს საქმე №1/118-2023.

77 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4792-23.

ამასთანავე, სანიმუშოა რუსთავის საქალაქო სასამართლოს[78] მიერ წარმოდგენილი სასჯელის დასაბუთება, სადაც ვკითხულობთ: ,,სასამართლო განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ განსახილველი საქმე შეეხება ოჯახში ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმას - სიცოცხლის ხელყოფას ოჯახის წევრის მიმართ. სიცოცხლის მოსპობის ამგვარი ფაქტის გათვალისწინებით სახელმწიფოს აღარ რჩება ფაქტობრივი ბერკეტი ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და მისი უფლებების რეპარაციისათვის. სასჯელი მოცემულ შემთხვევაში ვერ მოემსახურება ინდივიდუალური საქმის დაზარალებულის, როგორც ოჯახში სტრუქტურული ძალადობის მსხვერპლის, უფლების რეპარაციას. ,,ფემიციდის'' შემთხვევა ის სამწუხარო რეალობაა, როდესაც სახელმწიფო უკვე ვერ უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას და ზიანის გამოსწორებას, თუმცა ადეკვატური სასჯელის განსაზღვრა შეიძლება მოემსახუროს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების აღსრულებას პროცედურული გარანტიის სახით. ამდენად, სასჯელის განსაზღვრისას წამყვანი ფაქტორი სასამართლოსათვის სწორედ სასჯელის გენერალური პრევენციის მექანიზმია: რათა სასჯელი, რომელსაც მსგავსი დანაშაულისთვის სასამართლო დაადგენს, იყოს შემაკავებელი საზოგადოების იმ წარმომადგენელთათვის, ვისაც ოჯახში ძალადობა და თუნდაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა სტერეოტიპული შეხედულებებით, მიაჩნია ნორმად და დასაშვებ სოციალურ მოვლენად. ქალის მკვლელობის ამგვარი ფაქტის გამო გამოყენებული უნდა იქნეს შედარებით მკაცრი სასჯელი, რათა საზოგადოებას, რომელიც თავის წიაღში წარმოშობს და ახალისებს კიდეც სიცოცხლის მოსპობის ასეთ მძიმე ფორმებს, გაეცეს ადეკვატური პასუხი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები არ არიან ტოლერანტულნი სიცოცხლის ხელყოფის ამგვარი დამაკნინებელი, სასტიკი და მძიმე ფაქტების მიმართ. სასამართლო იმედოვნებს, რომ სასჯელი, რომელსაც მოცემულ საქმეზე დაადგენს, ეფექტიანად მოემსახურება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფესვებთან და გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლად, პატრიარქალური ღირებულებებისა და სტრუქტურის შეცვლითა და ტრანსფორმაციით ძალადობის შემცირებას და, შესაბამისად, პრევენციას''.

მოცემულ საქმეში სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა ბრალდებულს, რომელმაც მეუღლე არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით განსაკუთრებული სისასტიკით მოკლა: ,,განსახილველ შემთხვევაში სასამართლო დარწმუნდა, რომ გარდაცვლილი არის არაერთჯერადი ხასიათის დანაშაულის მსხვერპლი, არამედ განგრძობადი სტრუქტურული ძალადობის მსხვერპლი, რომელიც ქორწინებიდან გარდაცვალებამდე მის ცხოვრებას მუდმივად თან ახლდა და გამოწვეული იყო გენდერული სტერეოტიპებით, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორების ურთიერთქმედებით. სასამართლოში ასევე ნათლად წარმოჩინდა, თუ რაოდენ დიდი ტრავმის გამოწვევა შეუძლია ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს როგორც უშუალოდ ძალადობის მსხვერპლის, ისე მისი თვითმხილველი არასრულწლოვანი შვილების მიმართ''.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გამოყენებული მაქსიმალური სასჯელი იყო უვადო თავისუფლების აღკვეთა,[79] ხოლო მინიმალური სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, საიდანაც 2 წელი ჩაითვალა პირობით მსჯავრად[80].

78 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

79 რუსთავის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/945-23.

80 მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/15-23.

5.3. სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება

საქმეთა მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში, ისევე როგორც წინა წელს, პრობლემური იყო ქალის მიმართ ძალადობის საქმეში სასამართლოს მიერ რისკების არასათანადოდ შეფასება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[81] სასამართლოს მიერ პატიმრობის ნაცვლად უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შედეგად, ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა, გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა და დაზარალებული თვითმკვლელობის მცდელობამდე მიეყვანა.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2023 წლის 21 თებერვალს ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს გაშლილი ხელი გაარტყა სახის არეში. 2014 წელს დაბადებულმა შვილმა დაიცვა დედა, რის გამოც ბრალდებულმა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანს, ლოყაში დაარტყა ხელი და ორჯერ ფეხი ამოარტყა. ამასთანავე, მეუღლეს დაემუქრა, როდესაც დაიძინებ, მოგკლავო. ამ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება. საქმის მასალების თანახმად, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა, მაშინ როდესაც პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას შუამდგომლობდა. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დასაბუთებისას, პროკურატურამ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ხასიათსა და მის პიროვნებაზე ერთობლიობაში. ბრალდებული ოჯახის წევრებზე - მეუღლესა და არასრულწლოვან შვილზე ძალადობდა. დაზარალებულის მიერ წარდგენილი ინფორმაციით, ბრალდებული ფაქტობრივად მუდმივად იღებდა ალკოჰოლს და აგრესიული ხდებოდა, რის გამოც საცხოვრებლად მშობლებთან გადავიდა. პროკურატურამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ კონფლიქტი არ იყო აღმოფხვრილი და ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის რჩებოდა დაძაბული ურთიერთობა. ეს კი წარმოშობდა დასაბუთებულ ვარაუდს და საფრთხეს, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, დაზარალებულისა და მისი შვილების უსაფრთხოება ვერ იქნებოდა სათანადოდ უზრუნველყოფილი, ბრალდებული განაგრძობდა ანალოგიურ ქმედებებს და ახალ დანაშაულს ჩაიდენდა. ამდენად, ბრალდების მხარე მხოლოდ პატიმრობის გამოყენებას მიიჩნევდა მიზანშეწონილად იმისათვის, რათა დაცული ყოფილიყო დაზარალებულების უსაფრთხოება და უფრო მძიმე, გამოუსწორებელი შედეგი არ დამდგარიყო.

თუმცა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია საფრთხე, რომ ბრალდებული განაგრძობდა ძალადობას და გირაო გამოიყენა. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას სასამართლომ განმარტა, რომ ,,ვერ დაეთანხმება პროკურორის პოზიციას პატიმრობის აუცილებლობის თაობაზე, რადგან გასათვალისწინებელია, რომ ბრალდებულს კარგად აქვს გაცნობიერებული არასათანადო ქცევის შემთხვევაში მისთვის მომდინარე უარყოფითი შედეგები, ცალკე ყოფნას აპირებს საქმის დამთავრებამდე და ამ შემთხვევაში არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით საფრთხის სრული განეიტრალება შესაძლებელია. გირაოს დაკარგვისა და უფრო მკაცრი აღკვეთის შესაძლო გამოყენების შიში იქნება ეფექტიანი, დამაფიქრებელი და ლეგიტიმური მიზანი სრულად მიიღწევა''.

მისასალმებელია, რომ პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე განჩინება გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო და

81 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/2208-23.

გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება. შედეგად, გირაოს შეფარდებიდან მალევე, ბრალდებულმა ორჯერ დაარღვია შემაკავებელი ორდერი, შვილთან სატელეფონო ვიდეოზარის განხორციელების მეშვეობით ესაუბრა მეუღლეს, რომელსაც შერიგებას სთხოვდა, უარის შემდეგ კი აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. არასრულწლოვნის მიერ გამოძიებისთვის მიცემული ჩვენების თანახმად: ,,15 მარტს კიდევ დარეკა, როგორც ვიტყვი, ისე უნდა გააკეთო, თორე არ აცოცხლებდა და თუ უნდოდა თვითონვე აეღო დანა და მოეკლა დედას თავი. დედამ ტირილი დაიწყო, თუ ჩემი სიკვდილი გინდა, თვითონ მოვიკლავ თავს და აგისრულებ სურვილსო''. ამის შემდეგ დაზარალებულმა წამლები დალია და ბავშვები გააფრთხილა, თუ რამე მოუვიდოდა, თავს იკლავდა ბრალდებულის გამო, რომელიც მუდმივად ემუქრებოდა და აყენებდა შეურაცხყოფას''. გაწეული სასწრაფო სამედიცინო დახმარების შედეგად ქალი გადარჩა.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სრულად გაითვალისწინონ საქმის ინდივიდუალური გარემოებები და სათანადოდ შეაფასონ ფემიციდის რისკები. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, ჩადენილი ქმედების სიმძიმე, ხასიათი და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეპყრო ოჯახში ძალადობის დინამიკაზე, ბრალდებულის მხრიდან შესაძლო სისტემატურ ძალადობრივ ქმედებებზე, მათ შორის, ფიზიკურ ძალადობასა და სიცოცხლის ხელყოფის მუქარაზე, რასაც დაზარალებული რეალურად აღიქვამდა. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმ გარემოებაზე, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ადგილზე არასრულწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ და ძალადობა მათ მიმართაც განხორციელდა. ამ ფაქტორების შეფასება აუცილებელია შემდომი ძალადობის განმეორების რისკების გასაანალიზებლად და მათ წინააღმდეგ ადეკვატური ზომების მისაღებად.

რისკები ასევე არასათანადოდ[82] შეაფასა თელავის რაიონულმა სასამართლომ, განხილულ საქმეში, სადაც ბრალდებულმა ყოფილი მეუღლე და მისი მოქმედი ქმარი მოკლა, რადგან მიიჩნევდა, რომ ქალს არ ჰქონდა პირადი ცხოვრების განკარგვისა და ხელახლა დაოჯახების უფლება. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ამ შემთხვევამდე ბრალდებული გასამართლებული იყო შემაკავებელი ორდერის დარღვევისა და დაზარალებულის მიმართ განხორციელებული მუქარის გამო. სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და მონანიება. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა დაზარალებულის თანხმობა ბრალდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენების თაობაზე და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით; ამასთანავე, 64-ე მუხლის საფუძველზე, ბრალდებულს გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ერთი წელი და ექვსი თვე.

საგულისხმოა, რომ პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში ბრალდებულმა დაზარალებულის მიმართ ჩაიდინა უფრო მძიმე დანაშაული - განზრახ მკვლელობის მცდელობა გენდერის ნიშნით, ოჯახის წევრის მიმართ, ორი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

82 თელავის რაიონული სასამართლოს საქმე №1/17-24.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უფრო სიღრმისეულად უნდა ემსჯელა ოჯახში ძალადობის დინამიკაზე. კერძოდ, ბრალდებულის მიმართ გამოწერილი იყო 2 შემაკავებელი ორდერი დაზარალებულის მიმართ ჩადენილი ძალადობის გამო. ამასთანავე, მან დაარღვია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულება, დაზარალებულს ტელეფონით დაუკავშირდა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, რაც დაზარალებულმა რეალურად აღიქვა. სასამართლო სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის მიმართ ძალადობრივი ქმედების განმეორებისა და ფემიციდის განხორციელების რისკების საკითხს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამოყენებულმა სასჯელმა ვერ შეძლო დანაშაულის თავიდან აცილება, რაც სასჯელის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა მოძალადის მიმართ ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენებისას სიფრთხილით გაითვალისწინონ დაზარალებულის თანხმობა ბრალდებულების მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებაზე. ასეთი მიდგომა შესაძლოა მოიცავდეს დაზარალებულზე პასუხისმგებლობის გადატანის რისკს. ამავე დროს, სასამართლო ვალდებულია შეაფასოს, ხომ არ არის დაზარალებულის პოზიცია ზეწოლის, მუქარის ან შიშის შედეგი, რაც გავლენას ახდენს მის რეალურ ნებაზე.

6. გამამართლებელი განაჩენები - დაზარალებულის სათანადო მხარდაჭერის მნიშვნელობა

საანგარიშო პერიოდში შესაძლო ფემიციდის მცდელობის სამ საქმეში,[83] პრობლემურად გამოიკვეთა საქმის სასამართლოში განხილვისას დაზარალებულების მიერ ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობა, რამაც მეტწილად განაპირობა საქმეზე გამამართლებელი განაჩენის დადგომა. აღსანიშნავია, რომ სამივე საქმე სსკ-ს 115 მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულს ეხებოდა, რაც გულისხმობს თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანას, გენდერის ნიშნით.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,[84] მეუღლის მიერ მიყენებული სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და დამცირების შედეგად, დაზარალებულმა ვენების გადაჭრის გზით თვითმკვლელობა სცადა. მას შემდეგ, რაც საგამოძიებო უწყებამ დაზარალებულის გამოკითხვის შედეგად მოიპოვა ინფორმაცია საქმეში არსებულ გენდერულ ნიშანთან დაკავშირებით, კვალიფიკაცია მოახდინა სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით, რომელიც სპეციალურ ნორმას წარმოადგენს ამავე მუხლის 1-ელ ნაწილთან მიმართებით და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გენდერის ნიშნით თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანისათვის.

საქმის არსებითი განხილვისას დაზარალებულმა უარი განაცხადა ქმრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ჩვენება ასევე არ მისცეს ბრალდებულის არასრულწლოვანმა შვილებმა.

83 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1531-22, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს საქმე №1/19-24, სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე №1/120-23.

84 თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს საქმე №1/19-24.

მოცემულ საქმეში პრობლემურად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამოძიებამ საგამოძიებო მოქმედებები არ ჩაატარა მობილურ ტელეფონთან დაკავშირებით, კერძოდ, არ შეისწავლა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული მიმოწერა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტკიცებულებითი თვალსაზრისით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე არ მოიპოვებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, საკმარისი, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ბრალდებულის დამნაშავეობას დაადასტურებდა, რის გამოც იგი წარდგენილ ბრალდებებში გამართლდა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული საქმე[85] ეხებოდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით მეუღლის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანას. ბრალდების თანახმად, ბრალდებული თანაცხოვრებისას მეუღლეს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამცირებდა, ეჭვიანობის ნიადაგზე უცენზურო სიტყვებით მიმართავდა, რის გამოც ქალმა თვითმკვლელობა სცადა. დაზარალებულმა და მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა გამოიყენეს მათთვის კანონით მინიჭებული უფლება და სასამართლოს წინაშე ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს. სასამართლომ კი მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის ჩადენა არ დასტურდებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში[86] ბრალდებული ასევე გამართლდა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებაში, რომელიც მოიცავდა მეუღლის თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანას, გენდერის ნიშნით. ეს საქმე განსაკუთრებით პრობლემურია, რადგან საქმეში იკვეთებოდა ძალადობის წინარე ისტორია და შინაგან საქმეთა სამინისტროში შესული იყო შეტყობინება დაზარალებულის მიმართ ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ძალადობის თაობაზე.

მოცემულ საქმეში დაზარალებულმა უარი განაცხადა მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დაზარალებულის ოჯახის წევრებმა სასამართლო პროცესზე ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვალეს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები. ბრალდებული ეჭვიანობის ნიადაგზე სისტემატურად ამცირებდა მეუღლეს, აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რითიც ლახავდა მის ღირსებას, რის გამოც იგი განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას და საცხოვრებლად მშობლების სახლში დაბრუნდა. თუმცა ბრალდებული ტელეფონის მეშვეობით განაგრძობდა ძალადობას, რის საფუძველზეც ქალმა თვითმკვლელობა სცადა. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, ოჯახის წევრები იმ გაუსაძლის ვითარებაზე საუბრობდნენ, რაში ცხოვრებაც დაზარალებულს უწევდა - მუდმივი კონტროლი, შეურაცხყოფა. მაგრამ სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ დაზარალებულმა თვითმკვლელობა ბრალდებულის ქმედებების გამო კი არა, იმიტომ სცადა, რომ მშობლებმა მასთან შესახვედრად არ გაუშვეს.

სახელმწიფომ მკაცრი პოლიტიკა უნდა აწარმოოს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დანაშაულის არადაზარალებული მოწმეები განზრახ ცდილობენ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას, ბრალდებულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავის ასარიდებლად. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახური დანაშაულების საქმეებში, რადგან დაზარალებულები ხშირად სარგებლობენ ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის პრივილეგიით. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანომ, დაზარალებულის

85 სამტრედიის რაიონული სასამართლოს საქმე №1/120-23.

86 თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1531-23.

სტატუსის არმქონე მოწმეთა ცრუ ჩვენების გამოვლენისას, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელება და, მეორე მხრივ, თავიდან აიცილოს სხვა მოწმეების მხრიდან მომავალში ცრუ ჩვენების მიცემა.

კიდევ ერთი საქმე,[87] სადაც ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ განიხილა. ბრალდების თანახმად, ბრალდებულმა სიტყვიერი შელაპარაკების დროს განზრახ მკვლელობის მიზნით ქალს ხელი ჰკრა, რის შედეგადაც ქალი საცხოვრებელი კორპუსის მე-3 სართულის აივნიდან გადავარდა. დროული სამედიცინო დახმარების შედეგად ქალი გადარჩა.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდებოდა პირის დამნაშავეობა და ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო. სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებული ქალის ჩვენებები, რიგ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით, წინააღმდეგობრივი იყო სხვა მოწმეთა ჩვენებებთან; საქმეში არსებობდა ფაქტის უშუალო შემსწრის ჩვენება, რომელიც ადასტურებდა, რომ ბრალდებულს არ უცდია ქალის მესამე სართულიდან გადაგდება. ჩვენების თანახმად, დაზარალებული აივანზე გავიდა და გადახტომას აპირებდა, როდესაც მასთან ბრალდებული მივიდა და დაიჭირა, ის ხელს არ უშვებდა, თუმცა ბოლოს მაინც გაუსხლტა ხელიდან და გადავარდა. სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ასევე დაეყრდნო დაზარალებულის ჩვენებას, რომლის თანახმად, ბრალდებულმა უთხრა, ,,ნუ გეშინია, სასწრაფო მოდისო''. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ ბრალდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას სათანადოდ არ გამოუკვლევია დანაშაულის გენდერული მოტივი. ბრალდებულსა და დაზარალებულს ინტიმური პარტნიორული ურთიერთობა აკავშირებდათ, შესაბამისად, გამოძიებას სიღრმისეულად უნდა შეესწავლა ურთიერთობის დინამიკა და დანაშაულის მოტივი, რაც ქალთა მიმართ ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის აუცილებელი წინაპირობაა.

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ საქმეებში ფაქტობრივად არ გვხვდება ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის თებერვალში საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით სავალდებულოდ განისაზღვრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, რაც მისასალმებელია და გენდერული ნიშნით გამოწვეული ძალადობრივი დანაშაულის დაზარალებულების გასაძლიერებლად ამ რგოლის ჩართულობის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სასამართლოში განხილვისას დაზარალებულების მიერ ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზეზები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ძალადობის გაძლიერების შიშს (მათ შორის, მოძალადის საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომ), დაურწმუნებლობას არსებული მექანიზმების ეფექტიანობაში, ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სამომავლო პერსპექტივების არქონას, საცხოვრებელთან დაკავშირებულ პრობლემებს და სხვ. შესაბამისად, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობასთან ერთად, აუცილებელია, სახელმწიფომ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის უზრუნველყოს ადეკვატური დახმარება.

87 ზუგდიდის რაიონული სასამართლოს საქმე №1-035.

მნიშვნელოვანია, დაზარალებულების ცნობიერების ამაღლება დაცვისა და დახმარების ხელმისაწვდომ სერვისებთან დაკავშირებით. სახელმწიფომ ძალადობის მსხვერპლებს უნდა შესთავაზოს მეტად ეფექტიანი ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობები. ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა ქალებმა თავი დააღწიონ ძალადობრივ გარემოს და შეძლონ ცხოვრების დამოუკიდებლად დაწყება.

ასევე, უნდა აღმოიფხვრას სამართალდამცავი პირების მხრიდან არასაკმარისი და არაეფექტიანი რეაგირების შემთხვევები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების ყოველმხრივ გამოძიებასა და დაზარალებულების ეფექტიან დაცვას.[88] ასევე, ყურადსაღებია საქმეთა შესწავლისას მსხვერპლთა მეორადი ვიქტიმიზაციის შემთხვევები.

ამასთანავე, მნიშნელოვანია გადაიდგას ნაბიჯები მოძალადისთვის ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსების გავლის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში გაანალიზებულ საქმეებში ოჯახში ძალადობაში მსჯავრდებულ პირებს არ დაკისრებიათ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა. მნიშვნელოვანია, მოსამართლეებმა აქტიურად დააკისრონ მსჯავრდებულ პირებს ეს მოვალეობა, რაც მოძალადეებს დაეხმარება გაიაზრონ ოჯახში ძალადობის შედეგები, საკუთარი პასუხისმგებლობა და, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მსჯავრდებული პირების მხრიდან, პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდგომ, ოჯახში განმეორებითი ძალადობის თავიდან არიდებას.

88 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024 წელი, გვ. 244-245. მისაწვდომია ბმულზე: https://ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf

დასკვნა

2023 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ ფემიციდის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების მიმართულებით არაერთი გამოწვევა რჩება.

საანგარიშო პერიოდში კვლავ იკვეთება გამოძიების მიერ გენდერული მოტივის დადგენის პრობლემა, მათ შორის, იმ საქმეებშიც, სადაც საქმის მასალებზე დაყრდნობით ძალადობის წინარე ისტორია იკვეთებოდა. ამასთანავე, პრობლემური იყო ეკონომიკური ძალადობის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაში გენდერული მოტივის გამოვლენა.

გამოძიების ეტაპზე, ცალკეულ შემთხვევებში, ვლინდება ისეთი ხარვეზები, როგორებიცაა საქმის სრულყოფილად შესასწავლად საჭირო ყველა საგამოძიებო მოქმედების ჩაუტარებლობა. ცალკეულ საქმეებში პრობლემური იყო საპროცესო შეთანხმების ფარგლებში გამოყენებული სასჯელები, რაც ვერ უზრუნველყოფდა დამნაშავისგან მსხვერპლის გრძელვადიან იზოლაციას და დანაშაულის განმეორების რისკებს აჩენდა.

შესწავლილი საქმეების მიხედვით, იმ შემთხვევებში, როდესაც ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის შემსწრე ბავშვი მცირეწლოვანია, ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ექსპერტულად არ ფასდება ბავშვზე ძალადობის იმწუთიერი და ხანგრძლივი გავლენა. შედეგად, საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო დანაშაულის თვითმხილველი ბავშვის დაზარალებულად ცნობა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გვხვდება დასაბუთებული განაჩენები გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე, თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განაჩენით სათანადოდ არ იყო დასაბუთებული, თუ რაში გამოიხატებოდა გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენა, მათ შორის, გვხვდება საქმე, სადაც სასამართლომ სათანადო დასაბუთების გარეშე ამორიცხა გენდერის ნიშანი. კვლავ განსაკუთრებით სამწუხარო პრაქტიკაა სასამართლოს მიერ რისკების არასწორი შეფასება, რამაც ვერ უზრუნველყო ფემიციდის მცდელობის პრევენცია.

ტენდენციად იკვეთება, რომ ქალები მათ მიმართ ჩადენილი წინარე ძალადობის შესახებ სამართლდამცავ უწყებებს, უმეტესად, არ ატყობინებენ. გამამართლებელი განაჩენების ანალიზი აჩვენებს, რომ კვლავ არის დაზარალებული ქალების მიერ ოჯახის წევრების წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შემთხვევები, რაც ქალების ნდობის მოსაპოვებლად და მხარდაჭერის სერვისების გასაუმჯობესებლად არსებითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებაზე მიუთითებს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

1. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებზე გენდერული მოტივის გამოსაკვეთად ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება და უზრუნველყოს საქმეთა გენდერული პერსპექტივით შესწავლა, მათ შორის, გაითვალისწინოს როგორც ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ძალადობის წინარე ისტორია, ასევე ბრალდებულის მხრიდან სხვა ქალის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები;
2. გამოძიება წარიმართოს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების, საჭიროების შემთხვევაში, ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენებით, რათა იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული სასამართლოს წინაშე ჩვენებაზე უარს იტყვის, არსებობდეს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები;
3. განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს არასრულწლოვნის გამოკითხვას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, გამოიყენოს მაღალი სტანდარტი ფსიქოლოგის ჩართვის გადაწყვეტილების თაობაზე;
4. განაგრძოს გამომძიებელთა გადამზადება გენდერულ მოტივთან დაკავშირებით, ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანად გამოსაძიებლად.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას:

1. საქმეზე სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით, უზრუნველყოს საქმეთა გენდერული პერსპექტივით შესწავლა;
2. მოახდინოს ქმედების კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის გენდერის ნიშნით, როდესაც ცალსახად იკვეთება, რომ ძალადობას საფუძვლად გენდერული სტერეოტიპები ედო;
3. ფემიციდის მცდელობის სისხლის სამართლის საქმის მასალებში უზრუნველყოს კოორდინატორის მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა;
4. განაგრძოს პროკურორთა სისტემატურად გადამზადება გენდერულ მოტივთან დაკავშირებით, ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანად გამოსაძიებლად;
5. ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების თაობაზე, მათ შორის, მაშინ, როცა ბავშვი უშუალოდ არ ყოფილა დანაშაულის თვითმხილველი, თუმცა ესმოდა ძალადობის ხმები;
6. დანაშაულის თვითმხილველი მცირეწლოვნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყდეს ფსიქოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს ძალადობრივი ქმედების მყისიერ და გრძელვადიან გავლენას ბავშვის განვითარებაზე;

7. ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმება გამოიყენოს განსაკუთრებული სიფრთხილით და იმგვარი პირობებით, რომელიც უზრუნველყოფს ფემიციდის პრევენციას და ბრალდებულის მიერ საკუთარი ქმედების გააზრებას.

საერთო სასამართლოებს:

1. სასამართლოებმა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ჯეროვნად დაასაბუთონ, თუ რაში გამოიხატება გენდერის ნიშნით დანაშაულის ჩადენა, როდესაც აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებით ჩადენილი დანაშაულისათვის ბრალდებულს დამნაშავედ ცნობენ;
2. ფემიციდის/ფემიციდის მცდელობის საქმეებზე, სასამართლოებმა უზრუნველყონ ოჯახში ძალადობის კონტექსტის გათვალისწინება და გენდერის ნიშნის ყოვლისმომცველი განმარტება;
3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე, მოსამართლეებმა, ძალადობის პრევენციის ხელშესაწყობად, მსჯავრდებულებს დააკისრონ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა;
4. ოჯახში ძალადობის ან ქალის მიმართ ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, ჯეროვნად შეაფასოს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის საფრთხე;
5. სასამართლოებმა სიფრთხილით შეაფასონ დაზარალებულის თანხმობა ბრალდებულის მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებისას და დარწმუნდნენ, რომ დაზარალებულის პოზიცია არ არის ზეწოლის, მუქარის ან შიშის შედეგი, რაც გავლენას ახდენს მის რეალურ ნებაზე;
6. ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეებზე, უზრუნველყოს, რომ საპროცესო შეთანხმების პირობები ასახავდეს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური სიმკაცრის სასჯელს;
7. საერთო სასამართლოებმა უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები არ გამოიყენებოდეს შაბლონურად და სათანადოდ იყოს გაანალიზებული გენდერის მოტივის დასაბუთებისთვის.

იუსტიციის უმაღლეს სკოლას:

1. უზრუნველყოს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეების სისტემატური გადამზადება გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოვლენის საკითხზე.

დანართი 1: საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკა[89]

1. ქალთა მკვლელობა:

2023 წლის მონაცემებით, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** ჩადენილია 16 ქალის მკვლელობა. მათგან, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 13 შემთხვევაზე, 12 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-109-ე მუხლით, 1 შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემი პირის გარდაცვალების გამო, ხოლო 2 შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენი პირი მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 7 ქალის მკვლელობის შემთხვევაში. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

პროკურორის დადგენილებით სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა ერთი პირის მიმართ, ბრალდებულის გარდაცვალების გამო. გამოძიება შეწყდა ორ სისხლის სამართლის საქმეზე, ამათგან, 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ხოლო 1 საქმეზე - სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 3 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 4 ქალი; 70 წელს ზევით - 4 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 4 ქალი; შიდა ქართლი - 4 ქალი; კახეთი - 3 ქალი; ქვემო ქართლი - 2 ქალი; სამეგრელო - 1 ქალი; აჭარა - 1 ქალი; დასავლეთ საქართველო - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულს/პასუხისგებაში მისაცემ პირსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 10 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 2 შემთხვევაში - შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში - შვილიშვილის მიერ ბებიის მიმართ, 1 შემთხვევაში - ყოფილი სიძის მიერ სიდედრის მიმართ, 2 შემთხვევაში სოციალური კავშირი მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა.

2023 წლის მონაცემებით, **არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით** ჩადენილია 7 ქალის მკვლელობა. მათგან, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 შემთხვევაზე, 5 პირის მიმართ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით - 2 პირის მიმართ, სსკ-ის 108-ე მუხლით - 3 პირის მიმართ, ხოლო 2 შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 1 ქალის მკვლელობის შემთხვევაში. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

89 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/4150, 24/01/2024 წ.

დაზარალებულთა ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 2 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 70 წელს ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 2 ქალი; კახეთი - 2 ქალი; ქვემო ქართლი - 1 ქალი; სამეგრელო - 1 ქალი; აჭარა - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, 3 შემთხვევაში მკვლელობა ჩადენილია ნაცნობის მიერ, 2 შემთხვევაში - ინტიმური პარტნიორის მხრიდან, 2 შემთხვევაში სოციალური კავშირი მოცემულ ეტაპზე დადგენილი არ ყოფილა.

2. ქალთა მკვლელობის მცდელობა:

2023 წლის მონაცემებით, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით**, 10 პირის მიერ ჩადენილია 10 ქალის მკვლელობის მცდელობა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1]-19-109-ე მუხლით, ხოლო 1 შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, ვინაიდან დანაშაულის ჩამდენმა პირმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთა 6 ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევაში. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

პროკურორის დადგენილებით გამოძიება შეწყდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 2 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 3 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 4 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 2 ქალი; შიდა ქართლი - 1 ქალი; ქვემო ქართლი - 1 ქალი; კახეთი - 1 ქალი; სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი; დასავლეთ საქართველო - 2 ქალი; აჭარა - 2 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულს/პასუხისგებაში მისაცემ პირსა და დაზარალებულს შორის კავშირს, მკვლელობის მცდელობა ჩადენილია 8 შემთხვევაში ქმრის/ყოფილი ქმრის მიერ ცოლის მიმართ, 1 შემთხვევაში - შვილის მიერ დედის მიმართ, 1 შემთხვევაში - ერთიან საოჯახო მეურნეობაში მყოფი პირის მიერ.

2023 წლის მონაცემებით, **არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 5 პირის მიერ ჩადენილია 7 ქალის მკვლელობის მცდელობა, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ყველა პირის მიმართ, ამათგან, 3 პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით, ხოლო 2 პირის მიმართ - სსკ-ის 19-109-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

პროკურორის დადგენილებით გამოძიება შეწყდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

დაზარალებულთა ასაკი: 18-დან 30 წლამდე - 1 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 1 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი; 50-დან 60 წლამდე - 2 ქალი; 60-დან 70 წლამდე - 2 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 1 ქალი; დასავლეთ საქართველო - 2 ქალი; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1 ქალი; აჭარა - 3 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, მკვლელობის მცდელობა ყველა შემთხვევაში ჩადენილია ნაცნობის მიერ.

3. ქალთა მკვლელობის მომზადება:

2023 წლის მონაცემებით, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 1 პირის მიერ ჩადენილია 1 ქალის მკვლელობის მომზადება. ამ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-19-109-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი: 70 წელზე ზევით - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირს, მკვლელობის მომზადება ჩადენილია შვილიშვილის მიერ ბებიის მიმართ.

4. ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანა:

2023 წლის მონაცემებით, არა ოჯახური დანაშაულის ნიშნით 1 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: აჭარა - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, თვითმკვლელობამდე მიყვანა ჩადენილია ინტიმური პარტნიორის მხრიდან.

5. ქალთა თვითმკვლელობამდე მიყვანა:

2023 წლის მონაცემებით, **ოჯახური დანაშაულის ნიშნით** 9 ქალის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 9 პირის მიმართ, ამათგან 1 პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-115-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო 8 პირის მიმართ სსკ-ის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული დანაყოფი.

დაზარალებულის ასაკი: 18 წლამდე - 1 ქალი; 18-დან 30 წლამდე - 3 ქალი; 30-დან 40 წლამდე - 4 ქალი; 40-დან 50 წლამდე - 1 ქალი.

დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 2 ქალი; შიდა ქართლი - 2 ქალი; ქვემო ქართლი - 2 ქალი; დასავლეთ საქართველო - 1 ქალი; სამცხე-ჯავახეთი - 1 ქალი; სამეგრელო-ზემო სვანეთი - 1 ქალი.

რაც შეეხება ბრალდებულის კავშირს დაზარალებულთან, თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა 7 შემთხვევაში ჩადენილია ქმრის მიერ ცოლის მიმართ, ხოლო 2 შემთხვევაში - მამის მიერ შვილის მიმართ.

6. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია:

2023 წლის მონაცემებით, ქალის **ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტი**, რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, არ გამოვლენილა.

7. ფემიციდი/ ფემიციდის მცდელობა:

2023 წლის ზემოაღნიშნული მონაცემებიდან, ფემიციდი გამოიკვეთა 9 შემთხვევაში, ხოლო ფემიციდის მცდელობა - 14 შემთხვევაში.

2023 წლის მონაცემებით, ქალთა მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტებზე გამოძიება დაწყებული სისხლის სამართლის საქმეებიდან, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩაერთნენ 9 სისხლის სამართლის საქმეში, ამათგან, სსკ-ის 11^1-19-109-ე მუხლით წარმოებულ 4 საქმეში, სსკ-ის 19-109-ე მუხლით წარმოებულ 1 საქმეში, სსკ-ის 19-108-ე მუხლით წარმოებულ 2 საქმეში, სსკ-ის 11^1-115-ე მუხლით წარმოებულ 2 საქმეში.

კოორდინატორთა სისხლის სამართლის საქმეში ჩართულობის ტერიტორიული განფენილობა: თბილისი - 4 საქმე; დასავლეთ საქართველო - 2 საქმე;